

# ເມືອງຫຼວງ



1927 ເມືອງຫຼວງ ສຶກສາລາວ

№ 4

## შ ი ნ ა ბ რ ს ი:

	83.
1. ჩვენი დედების და დების დღესასწაული—შანის . . . . .	2
2. წითელი ხელსახოცი. . . . .	3
3. მშრომელი ქალები—ლექსი—ე. რომელაშვილის. . . . .	6
4. ჭიათურა—ლექსი—ე. პოლუმორდვინოვის . . . . .	7
5. დიდება სოფელს—ლექსი—არნო ონელის . . . . .	7
6. ორი კნონი—კ. ლეონი . . . . .	8
7. ჩვენი ბელადები . . . . .	12
8. ჩვენი მუშაობა . . . . .	12
9. სანიტარულ-ჰიგიენური ჩვეულებანი პიონერთავის—მ. გორგაძის	13
10. როგორ უნდა ჩამოვაყალიბოთ რგოლის და კოლექტივის მუ- შაობა—ლენსკის. . . . .	14
11. ჩვენი ძმები მსოფლიოში . . . . .	16
12. როგორ უნდა აიკინძოს წიგნები . . . . .	17
13. რადიო . . . . .	19
14. ხე მშენებლობაში და მრეწველობაში—კ. ლეონი . . . . .	20
15. ბავშთა შემოქმედება—ლექსები: გ. მირიანაშვილის, გ. შატბე- რაშვილის, ნ. ცხაკაიას და ა. ტატიშვილის . . . . .	24
16. გასართობი . . . . .	—




# ՅՈՒԹԻՒՅՆ

1927

28. ତମ୍ଭରକୁଳ

ବିଜ୍ଞାନିକାରୀ II

No. 4



მხოლოდ საგვირთა ხელისუფლება  
ანიჭებს გუგაპალებსა და გლეხეპალებს  
სრულ ტაშისუფლებას, და თანასღორობას!

## ჩვენი დედების და დეგის დღესასწაული

საერთაშორისო მშრომელ ქალთა დღე — 8 მარტი — ჩვენთვის, ბავშვისთვისაც, არის სადღესასწაული დღე, — იმიტომ, რომ ის ჩვენი დედების და დეგის დღესასწაულია.

პირველი მაისი ნიშავს საერთაშორისო მუშათა კლასის დამმობილების დღეს. ასევე, 8 მარტი ის დღეა, რომელიც მთელი ქვეყნის მუშა და გლეხებაზებს ახსენებს ჩვენს საერთო მიზანს, თავისუფალი კომუნისტური საზოგადოების დასაარსებლად ბრძოლის აუცილებლობას და სხვ.

ოქტომბრის რევოლუციაში ძირიან-ფესვანად მოსპონ ის უთანასწორობა, რომელიც წინათ არსებობდა ქალებას და მამაკაცებს შორის.

უკვე მეათე წელია, რაც მშრომელი ქალი მამაკაცთან ერთად მონაწილეობას იღებს ჩვენი საბჭოთა ხელისუფლების აღმშენებლობაში.

სამოქალაქო ომის გათავების შემდეგ, მუშება თოფის ნაცვლად ხელში აიღეს ჩაქუჩები, რომ იმუშაონ ქარხანა-ფაბრიკებში და აღადგინონ იმის მიერ დანგრეული მეურნეობა. ჩვენი სოციალისტური მეურნეობის აღორძინება-განმტკიცების საქმეში მუშაქალებს და გლეხებაზებს თავისი წვლილი შეაქვთ, ისინიც მუშაობენ სოციალისტური აღმშენებლობისათვის.

საშუალება რომ მიეცეს მუშაქალს რამოდენიმედ მაინც განთავისუფლდეს საოჯახო სამუშაოსაგან, დაარსებულია მჩავალი თავშესაფარი, კერა, სადაც ქალები სტოვებენ თავიანთ შვილებს. მუშაქალმა, რომელიც სტოვებს თავის ბავშს ასეთ დაწესებულებებში, იცის, რომ იქ მას კარგად მოუვლიან და უპატრიონებენ.

არა მარტო ქალაქებში, არამედ სოფლადაც იწყებს გამოფხილებას წინათ დავიწყებული, გაუნათლებელი გლეხებალი.

დღეს ათასობით სწავლობენ მშრომელი ქალი-შეილები მუშაქებში, უმაღლეს სასწავლებლებში, შრომის სკოლებში და სხვ. ჩვენში არათუ არ ეკრძალება ქალებს სწავლა, არამედ კომპარტიის ყოველგვარ ზომებს დებულობს, რომ რაც შეიძლება უფრო მეტად გაავრცელოს მეცნიერება მუშაქალთა და გლეხებალთა მასებში.

ზრუნავს რა ჩვენი კომუნისტური პარტია მუშა და გლეხებალთა ცხოვრების გაუმჯობესებაზე, ის ამავე დროს არ ივიწყებს საბჭოთა აღმოსავლეთის, განაპირა კუთხების, ქალებს, რომლებიც ყველაზე უფრო დავიწყებული, დამცირებული და

ლებელნი არიან. ის ამ მონების განთავისუფლებას დიდ ყურადღებას აქცევს ჩვენი კომუნისტური პარტია.

შეგვიძლია თუ არა ჩვენ, პიონერებს, ამ დღეს ვიდგეთ განზე? რასაკვირველია, არა — იტყვის ყოველი ჩვენთაგანი. დღეს ჩვენ ვართ უახლოესი და უერთგულესი მუშაკები ახალი ქვეყნის, სოციალისტური საზოგადოების, მაგრამ ყველა დედისათვის და დისათვის არის ეს ცხადი? — არა. ხშირად ისინი პიონერ-მუშაობას უყურებენ, როგორც მასხრობას და ზოგჯერ კიდევ უფრო უარესად — როგორც საზიან საქმეს.

ხშირად ჩვენი დედების თავებში დაბუდებულია ძეველი შეხედულებები: ქალი უნდა იჯდეს სახლში და მხოლოდ მეოჯახეობას, მზარეულობას უნდა ეწოდეს, კვირიაობით და უქმე დღეებზე კი ეკლესიაში უნდა დადიოდეს სალოცავად. რა მისი საქმეა მშრომელთა ბრძოლა ბრძყინვალე მომავლისათვის?

ბევრი პიონერი ფიქრობს, ასეთ ხალხთან ვერაფერს ვერ გვაკეთობ, უმჯობესია გავიქცე სახლიდან ან თავი მივანებო პიონერ-მუშაობასთ. მაგრამ იქნება თუ არა ეს სწორი, ლენინური მოქმედება? ცხადია, არა. დევ, უფრო ნელ-ნელა, ვიღრე ეს ჩვენ გვსურს, მაგრამ მაინც უნდა დავუმტკიცოთ ჩვენს დედებს და დებს, რომ საჭიროა მონაწილეობის მიღება საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რომ საჭიროა განათლება, რომ მომავალი ცხოვრების საწინდარი არის არა სამზარეულოში, არა ეკლესიაში, არამედ მუშათა და გლეხთა შეერთებულ მუშაობაში.

ჩვენი დედები უნდა დარწმუნდენ, რომ პიონერთა საქმე ტუილა-უბრალო გასართობი კი არაა, არამედ სასარგებლო საქმეა. ბ. კ. ო. პიონერები ღებულობენ ცოდნას, რომელიც საჭიროა დიდი რევოლუციონური საქმისათვის და ყოველდღიური მუშაობისათვის მეურნეობაში, ოჯახში.

არ უნდა დაგვავიწყდეს ამ დღეს ერთი უმთავრესი მოვალეობა პიონერებისა ღჯახში; ჩვენმა დედებმა და დებმა ხშირად არ იციან წერა-კითხვა, ხოლო წერა-კითხვის უცოდინარი კი გონებრივად ბრმა არის. ჩვენ, პიონერებს, ბევრი რისამე გაკეთება შეგვიძლია, რომ აღმოვფხვრათ წერა-კითხვის უცოდინარობა.

ი როგორ შეგვიძლია ჩვენ, პიონერებს, დამტკიცოთ, რომჩენები ღირსნივართ ვატაროთ ლენინების სახელი.



## მითები ხელსახოცი

წყლის სანაპიროებიდან პიონერებთან მოვიდა მოხუცი ივანე, გამოიხმო მართ მუშაშვილი და უთხრა, რომ მამამისი, მეისრე, ქალაქის მახლობლად გახდა ავად და სთხოვს თავის ქოლს ინახულოს, მიხედოს ოჯახს, თანაც დასძინა, ეს უბრალო ციებაა და საშიშროებას არას წარმოადგენსო. მართ იმ წუთსავე გაეშურა და სთხოვა წინამძღვალს დაეთხოვათ. წინამძღვალმა კარგად იცოდა, რომ მართს მამი იყო ქვრივი, მსახურობლა ქალაქის მოშორებით და მომვლელი სხვა არავინ ჰყავდა. მართ მაშინვე დაიიჩინა და ის იმ წამსვე გაუდგა გზას.

დღე დაუდგი გრილი, საშინელი პირქარი უბრავდა, რომლის სიძლიერე ხშირად მაღლა სწევდა და აქცევდა გოგონას. ხანგამოშვებით წამოუმხატვებდა ხოლმე წვიმა. ამნარი გაჭირვებით გადაიარა მარომ ველი, რომელზედაც იყო გადაჭიმული ქალაქი, განვლო ხიდი, სადაც საშინელის სიმძინვარით გრიალებდა ქარი და მაუახლოვდა გამწურივებულ მთებს. ეს იყო პატარა ტყიანი მთები, თვისი თვალსაჩინო ლელეებით და ხევებით. აქა-იქ ჩამოჩეხუებდენ წყაროების და წვიმის ნაკადულები, მდინარეები, რომელზედაც ხის ხიდები იყო გადადებული. აქ ქარი უბერავდა ნაბირიდან, ლიანდაგი-კი იფარებოდა წმოშვერილი პიტალი კლდეებით, რის გამც ქარი იშვიათად ახწევდა. მოჩხრიალებდენ მაღლიდან მდინარეები და თან მოჰქონდათ მიწა და სილა, რაც ეფარებოდა ლიანდაგს. მართ მიდიოდა და თან ფიქრობდა, თუ რა ძნელი იყო ამისთანა გზაზე სამსახური „დარაჯად“.

აქ ხშირად ჩამოწვებოდა ხოლმე ზვავი და სა-კირო იყო გზის ხშირად დათვალიერება. მთიდან მოსხლეტილ ერთ ქვას შეეძლო დაერცა მთელი მატარებელიც და თვით დარაჯის ოჯახიც. გზა იყო მოყრუებული და მატარებლებიც იშვიათად დაიიჩნებოდა. პირველ მატარებელს უნდა გამოვლო საღამოთი, რის გამო მარომაც, მიუხედავად ქარისა და

უაველივე დაბრკოლებისა, გადასწყვიტა და ქვეითად წამოვიდა. ლიანდაგს იქით, ცოტა მოშორებით, ლელავდა მდინარე, რომლიც ნაპირიც იყო მოცული ლერწმით, სადაც ბუღობდენ გარეული ბატები და იხვები. რა მიუახლოვდა საღარაჯოს, მართს ტყიდან მოესმა საცოდავი ჩხავილი, ტირილის მსგავსი. ეს მშიშარა და საცოდავი ტურები იყვნენ, რომლების ჩხავილი გზადაბნებული ბავშების ტირლის მოგაგონებდათ და რაც საშინელ სევდას და ლუმილს იწვევდა. ასეთი მგზავრობით გაიინულმა და გაცივებულმა მარომ გალურჯებული ხელებით შეალო საღარაჯოს კარები და თოფნაკრავით შეჩერდა! პატარა ოთახი მოცული იყო სიბნელით და ძნელიც გააძრევდით ავეჯის ჩრდილისაც-კი. ტატილინ მოისმოდა მისუსტებული ხმა, სიცილი, ხაჩხარი... და აი ამ ხმაში მარომ ძლივს იცნო მამის ხმა. მას მოეჩენა, რომ მამამისი ინკვეტა და ინ ჭუიდან იშლება, ხელის ფათურით მიუახლოვდა მაგიდას, სადაც იპოვნა წუმწუმა, გაჰკრა და აანთო ღიღი ფანარი წითელი და მწვანე სანათურებით. ის იხლა კი სინათლის წყალობით გაარჩია და იცნო მამა, რომელიც პირამდა იწვა ტახტზე, სიცხის ძლმური ასდიოდა, ბოდავდა და ვერ იმჩნევდა თავის ქალს. მართ ჩამოჯდა გვერდზე და დაუგდო ყური მამის ბოდვას. მიხვდა, რომ ამ-გვარა ავადმყოფობა არც ისე უბრალო რამეა, როგორც ეს გადასცა მას მოხუცმა ივანემ. ზავი ზღვის სანაპიროებზე ასეთი ციებ-ცხელება ხშირი იყო, რაღაც განიერი და ვრცელი წობ-ჭან-ტობები სანაპიროებზე, შიგ დაბუღდებული კოლეებით, ხელს უწყებდენ ამ სენის გავრცელებას. ძალიან ცუდი და მაწამებელი სნეულებაა: ავადმყოფი ხდება, ყვითლება, კარგავს სახის ფერს და სწყდება მუხლ-ძარღვებიდან. მაგრამ ცხელებიანის სიცხე არასოდეს არ ყოფილი ასეთი. მართ ნათლად ხელავდა, რომ ეს სხვა რაოც ავადმყოფობა იყო, და უფრო კი „სა-

ხადი", რომლის დროსაც აქვთ ავაღმყოფებს ასეთი სიუხე, როგორც მამამისს. თუ ასეა, მაშ საჭიროა წიყვანა საავადმყოფოში. მაგრამ როგორ და რანაირად მოახერხოს ეს და ან ვინდა გასტევს მის მოადგილეობას აქ, სადაც საათ-ნახევრის შემდეგ უნდა გამოიიაროს მატარებელმა. გზა გასასინჯია, მამამ კი ოლარა იცის რა, აღარა ესმის რა.

— ქვა... ქვა... ქვა, ყვიროდა პეტრე, გა-



მარო, როდის მოხველი შენ?

თხირეთ ჩქარა.... ელანდებიდა ზვავი, ოთახში კი ჭუჭრუტანიდან შემოგუკუნებდა საშინელი ქარი.

მარო ჩაეხუტა მამას და ემუდარებოდა, მოსულიყო გონის.—მამილო, მამილო, მე ვარ, მე... მოდი გონის, არავითარი ზეპი არ ჩამოწოლილა, შენ სახლში ხარ და ლოგინში წევხარ. მამამ გადუსვა ხელი ქალს, უცებ სახე გაუბრწყინდა, თითქოს იცნო და ჩუქჩულით უთხა: წითელი ხელსახლცი... ხელსახლცი მოიხსენი, მოიხსენი და აქნიე, რომ შენიშნონ, თორებ მატარებელმა მოატანა. ზვავი!! — უცებ დაიყვირა მან და დაუწყო ხელების ქნევა უხილავ მემანქანეს, მერე კი თითქოს დაწყნარდა და დაუწყო მზერა ქალს, რომელიც მთლად მიჰყროდა მამას და მხოლოდ ერთის მხურვალე ნატვრით იყო გამსჭვალული — მოსულიყო გონის მამა ცოტა ხნით მიინც.

— მარო, — წაილულულა უცებ, — როდის მოხვედი შენ?

— ნახევარი საათი იქნება, — მიუგო სიხარულით ქალმა, რადგანაც მამა დაშვიდებული ელაპარაკებოდა.

— სალამოს მატარებელმა გაიარა? — შეეკითხა მამა ქალს.

— ჯერ არა, — უპასუხა მან.

— უბედურობა!! ქარიშხალია, ლიანდაგი და-ოთვალიერე, ლიანდაგი. ფანარი წაიღე.

ის დაწყნარდა და რამდენიმე წუთის შემდეგ ისევ დაიწყო ბოდვა: „მოდის, მოდის, ინგრევა“.. მარო მიჯდა მაგიდასთან და ცრემლებს იწმენდდა. რა ექნა, ირგვლივ და თითქმის 10 ვერსის მანძილზე არავინ იყო, გარდა უდაბნოსი, აქ კი — მამა, რომელსაც ვერ ანებებდა თავს, და ერთი საათის განმავლობაში კი უნდა გამოევლო მატარებელს. კარგი იქნება, რომ გააჩეროს, დასვას მამა და წაიყვანოს საავადმყოფოში, მაგრამ როგორ შეიძლება ასე უბრალო მიზეზით, დარაჯის ციებ-ცხელების გამო, გააჩერონ მატარებელი? მამამ დაანება ბოდვას თავი და წამოიყირა:

— მარო, ზიხარ?! მატარებელი?!

— ჯერ კიდევ ბევრი დროა მატარებლამდის, — მიუგო ქალმა, — შენ როგორ დაგანებო თავი, მამილო? იწევ, დაშვიდდი.

— წალი, წალი, — ჰკრა ხელი მამამ კანკალით, — ფანარი წაიღე, მატარებელი, მატარებელი!

ასე აგდებდა მაროს მამა, მან კი არ იცოდა რა ექნა, იდგა გაშტერებული და უკდებდა ყურს ქარის გრიალს და წვიმის შხაპუნს, რომელიც თანდათან მატულობდა და მალე გადაიქცა ღრიანცელად. მაროს ეშინოდა არ დანგრეოდათ ქერი თავზე, მაგრამ საყარაულოში სიწყნარე იყო.

— ზვავი! — უცებ დაიყვირა მამამ — წალი, ჩქარა მიხედე.

ხმაურობა შეწყდა. მხოლოდ წვიმის ხმა ისმოდა. აუკან კალდა გული მაროს, რაღან შიხვდა, რომ ეს ბოდვა აღარ იყო, რომ ეს იყო უბედურობა: სადღაულოს ჩამოინგრა გზა და მატარებელი კი ჩქარი უნდა მოვიდეს. მაროს თვალწინ. წარმოუდგა მოსალოდნელი უბედურობა: დამტვრევა მატარებლის, მგზავრების სიკედილი და სხვა ყოველგვარი საკოდაობა, კვნესა, დაჭრილების ყვირილი! არა! რაღად დროს შიშია! მან წამოავლო ფანარს ხელი და ეცა კარებს, მაგრამ საშინელმა სიბერელე და ყინვამ დაუბნებულეს თვალთ, ერთ წუთს დასველდა თავით ფეხამდის. შეებრძოლა მოწინააღმდეგე ქარს და წავიდა ლიანდაგზე, მაგრამ საღ წავიდეს, საღ არის უბედურობის ადგილი, იყიდებს მთელ საათს და ვერ მიაგნებს ვერაფერს, ვერ გააფრთხილებს მატარებელს. ის სისწრაფით გაეშურა მომავალი მატარებლისაკენ, რომ გაეჩერებია და მას შემდეგ მგზავრები თვითონ გამოარკვევდენ რაშიც იყო საქმე, და მამასაც წაიყვანდენ საავადმყოფოში. „რომ ვერ გავაჩერო? — ფიქრობდა მარო, მაშინ დატრიალდება უბედურება, დაილუპება მრავალი ხალხი და მამასაც მისცემენ პასუხისმგებაში, რაღან დროზე

ას შეტყობინა თვისი ავადმყოფობა. ჩქარა წინ, წინ... და ახალი ძალ-ლონით გაეშურა მომავალი მატარებლისაკენ, თანაც ნატრობდა დაენახა მეზობელი დარაჯი, შეტყობინებინა მისთვის... გაიარა კი-დევ რამდენიმე ნაბიჯი მდინარისაკენ და უცებ წარმოუდგა თვალწინ უბედურობის სურათი: ხიდი მოეშალა აღიდებულ მდინარეს და რელსები უნიდა-გოდ ჰაერშილა ეკიდენ. გაშეშებული იდგა მარო, საშინლად უბერავდა ქარი, თითქოს უნდოდა გა-დაეგდო შიგ ხევში. მაროს ეჭირი ხელში ფანარი, რომელიც ოდნავ-ლა ბჟუტავდა და ქარი კი ელა-მუნებოდა ჩასაქრობად. დარწმუნდა მარო იმაშიც, რო ასე მბჟუტავ ფანარში წითელი სინათლის შე-მჩნევა ხიდის მეორე ნაპირიდან მემანქანისათვის შეუ-



მოებლაუჭა რელსს და გაცოცდა ზედ.

ძლებელი იყო, უსათუოდ მოსალოდნელი იყო უბედური შემთხვევა და გადასწყვიტა გასულიყო როგორმე მეორე ნაპირის. როგორ მოეხერხებია და იყო თუ არა მდინარის შეუ ნაწილზე რელსები გადამული ერთმანეთზე? სულერთია, მეტი გამოსა-ვალი აღარ არის, ან უნდა დაღუპოს მატარებელი, მამა, თავისი თავი, ან უნდა გაბედოს, თუნდაც დაი-ღუპოს. საბედნიეროდ წვიმამ იქლო, მდინარე ვიწ-რო იყო და ხიდი კი მოკლე. შესაძლებელი იყო მოეხერხებია გასვლა. ფანარი მოაბა ხელსახოცა და ისე შემოიკრა წელზე, ჩაიდო წუმწუმა ღრმად ფეხსაცმელში და შედგა ხიდის დარჩენილ მთელს ნაწილზე. ძლიეს იკავებდა თავს. რომ გაიარა ეს ნა-წილი, მერე მოებლაუჭა რელსს და გაცოცდა ზედ. რელსი ნელ-ნელა ეშვებოდა ძირს მდინარისკენ, მდინარის ტალღები ელამუნებოდენ სათუთი ბაშის ტანს, წითელი და მწვანე სინათლე ფანრისა ბჟუ-

ტავდა წყვდიადით მოცულ სიბნელეში, ფოლადის ყინულისებური სიცივე ჰყინავდა პაწია ხელებს. ხშირ-ხშირად ეჩვენებოდა მარის, რომ ვეღარ აი-ტანდა ასეთ ყინვას, სადაც არის გაუშვებდა ხელს და გადავარდებოდა აქაფებულ მდინარეში, მაგრამ მოიკრიბა ძალ-ლონე და ნელ-ნელა გასწია მეორე ნაპირისკენ. მდინარის შეუ წელზე, სადაც რელსები დაწეული იყო თითქმის მდინარის ტალღებამდის, მარომ შეისვენა და შეფიქრიანდა, გაიხედ-გამოიხედა და დაინახა, რომ ორივე ნაპირი მოშორებით იყო და ის სწორედ აქედან იწყებოდა უარესი გასაჭირი. თანდათან მაღლდებოდა რელსები. საჭირო იყო მეტი ძალა შელმართთან საბრძოლველად და ფოფხვა კი ძალიან ძნელი იყო მოლიპულ რელსებზე. არაჩვეულებრივი ძალ-ლონის მოკრების შემდეგ მარო გა-ფორთხდა იქით, მაგრამ უცურდებოდა ხელი და წინ ვეღარ წაიწია, დახუჭა თვალები და ერთი კი-დევ შეეცადა, ქარი კი არხევდა მას და თითქოს უნდოდა ჩაეგდო ძირს, ის კი კვლავ ებლაუჭებოდა ხელებით შეუბრალებლად გაყინულ ფოლადს. დადგა აღსასრული. ძალა აღარ აქვს... ქარმა ის პირ-დაპირ მუცლით დასცა გადადებულ ხარიხაზე, რო-მელსაც მოებლაუჭა. დაცემის ღრმა ფანრიდან გა-მოუკიდება მინები და ჩაუქრა სინათლე. მაშინ კი სთქვა: „ახლა სულერთია! რომ გადავრჩე კიდეც, საშუალება აღარა მაქვს რო მატარებლის გამაფრთხი-ლებელი. ამიტომ სჯობია გადავვარდე მე თვითონ და ვეღარ დავინახო მაინც ჩემი თვალით, თუ რო-გორ გადაიჩეხება რამოდენიმე წუთის შემდეგ მატა-რებელი“. უცებ წყვდიადიდან მოეჩვენა მამის დაბ-ნეული თვალები.... „წითელი ხელსახოცი, ხელსა-ხოცი! მოიხსენი, მოიხსენი, დაუქნიე, რომ შეამჩ-ნიონ“. ასე ბოდავდა მამამისი, მაგრამ როგორ შე-ამჩნევენ ამ უკუნეთ სიბნელეში იმის ხელსახოცა!؟ უკანასკნელში განწირულმა იმედმა და მხურვალე აზრმა შეაძრწუნა კიდევ და მოაკრეფინა დანარჩენი ძალ-ლონე. მაგრად მიკრული დაცემულ ხარიხაზე, გაბობლდა ნაპირისკენ და მიაღწია კიდეც დანარჩენ მთელს ნაწილს ხიდისას, აქ კი წამოიწია და უეც-რივ დაეცა ლიანდაგზე.

კოტა რომ მოითქვა სული, დაუკვირდა ლიან-დაგს, საიდანაც უნდა გამოჩენილიყო ორთქლმავალის ბრიალა სანათურები, მაგრამ არა, ჯერ არ ჩანდა და ღრმა კიდევ საკმარისი იყო. საჩქაროდ გახსნა თა-ვისი ფუთა, სადაც ჰქონდა წითელი ხელსახოცი, მოიხსნა ფანარი, ამოილო სანათი და მოუკუდროვა მუხლებით, გაუაფარა ხელსახოცი და ამნაირად მოუ-კიდა სანათს, მიიზიდა ერთის გვერდით ტანზე და

თვითონ ზევიდან გადაეფარა. ამჩიგად მისი ტანი გახდა გვერდებად და ხელები კი ძირად, წინა მხრივ-კი წითელი ხელსახოცი ააფარა, — ნიშნად საშიშროე-

მჩენებდა, მატარებელი დაიღუპებოდა შხოლოდ მის  
ტანზე გადავლის შემდეგ, რის შემდეგაც მას მო-  
ხსნილი ექნებოდა მისი ზნეობრივი და მოქალაქობ-  
რივი მოვალეობანი.



წინა მხრივ წითელი ხელსახოცი ააფარა.

ბისა. უძრავად იჯდა, ელოდა, თანაც ფიქრობდა, შეამნევდა თუ არა მემანქანე ასეთ პირობებში შე-ქმნილ გასაფრთხოებელ ნიშანს? და თუ ვერ შეა-

ფრთხილად, ცალის თვალით, თითქოს ეშინოდა  
ქარს არ ჩაეჭრო სანაოი, გამოიხედა ხელსახოციდან  
და დაინახა შორს მომავალი ბლგრიალა სამი წერ-  
ტილი, რომელიც თანდათან ახლოვდებოდა, იზრდე-  
ბოდა და სჭრიდა თვალებს. კიდევ ერთი წუთიც და  
მატარებელი გადაივლის მის გვარზე, გადაიჩეხება...  
მოიხრუება და შეაფარა თავი ხელსახოცს, საღაც ენთო  
ცეცხლი, ყველა ოთხი მხრიდან ხელსახოცით და თვით  
ბავშის ტანით ქარისაგან დაფარული. უეცრად თვალთ  
დაუბნელდა. გრიალი კი სულ იზრდებოდა. მა დროს  
მოესმა მანქანის საყვირის ხანგრძლივი ხმა. ის კი-  
დევ და კიდევ... ხმაურობამ ნელ-ნელა იქლო და  
ბოლოს სულ მისწყდა.

აუკანკალდა, აუფრთხიალდა გული და სუსტი  
ხმა იღმოხდა პირიდან, აუკანკალდა ხელებიც და  
გაუშვა კუთხები ხელსახოცისა. იმ წამსევ გაუგარდა  
სანთელიც, ნელა ამოიოხრა და დაეცა რელსებზე.  
მისგან ხუთი ნაზიჯის მანძილზე ენთო სამი ბღვრიალი  
სანათი მანქანისა. ხალხი გარბოლ-გამორბოდა და ის  
კი გულშეწუხებული ეგდო და იღარა ესმოდა რა.  
ხალხი მოცვივდა და დაინახეს, რომ გალურჯებული  
და გაყიდული ხელებით მას კანკალით ჩაუკრავს გულში  
საბეღასწერო ნიშანი: ეს იყო პიონერის წითელი  
ხელსახოცი.

ወጪ የጊዜ በኋላ ተስፋል.

თქვენი გრძნობათ ნაკადი  
სხივთა წვიმას ედრება  
და სიხარულს გამოსთქვამს  
შრომის ტრფობა ღილებით,  
მრავალ დროის ნაწადი  
დღეს დროშებით იშლება,  
რომლის მაღლა ფრიალთან  
მუდამ მტკიცედ იღები.

შენით ტანჯვით გამოზრდას,  
დაკუურებულ ხელიანს,  
ქვეყანა რომ შეჰქმნა და  
ქვეყანა რომ შესცვალა,

ახალ გამარჯვებებით  
ყოველ კუთხით ელიან,  
ახალ ცხოვრებისაკენ  
გული გადაეხარათ.

შენ შრომიბლი, იძჩძოდი,  
 დაღალვა არ გჩვეოდა,  
 გულში მტკიცედ იკრავდი  
 იმეუჯებს და რწმენასა,  
 რომ დღეს ეს გამარჯვება  
 ირგვლივ შემოგვხვეოდა  
 და გვერდში გაჰყოლოდი  
 ახალ დღეთა დენასა.

၅။ ရုပ်မောင်ရွှေမြို့၏

## ჭ ი ა თ უ რ ა

მთის გული, მთის სიღრმე ინგრევა, ითხრება.  
დაუღლელ მკლავებით მუშები შრომობენ.  
გაისმის ჯახუნი ჩაქუჩის, წერაქვის,  
რომელნიც ჰაერში მტვერს და მურს უშვებენ.

გუგუნებს რონოდა პატარა და მაღი,  
გამოაქვს შავი ქვა, გამოაქვს ჩქარ-ჩქარა,  
მაგრამ ეს გვირაბი მაინც არ იცლება,  
მთის გულში ფენები ჯერაც არ დამშრალა.

მის ახლოს მოქმუის მდინარე ყვირილა,  
თან მოაქვს ყვირილით ხევების ამბავი,

ზედ დაყრილ ნახშირით შავად გამურულა,  
თითქოს ჭიათურა მასშია ნაბანი.

მაღაროს სიღრმე კი ისევე ხმაურობს,  
მანქანათ გუგუნით გული არ ეღლებათ,  
შიგ მუდამ შრომაა და აურჩაური,  
და ფენებს დაწყობილს წერაქვი ეხლება.

შეის სხივთა მაგიერ ელექტრო ანთია,  
და სხანან ფანრები ციცინათელებად,  
შრომის სიყვარული შეიგრძნეს კუნთებით  
და შიგ მუშაობა სულ არ ეძნელებათ.

ე. პოლუმორდვინოვი.

## დ ი დ ე ბ ა ს ტ ვ ე ლ ს.

მიყვარს სოფელი მშვიდი და წყნარი,  
მინდორ-ველები და მწვანე ყანა,  
როს მომავალი დაუვიწყარი  
მოდის და ხარობს შრომის ქვეყანა.  
როცა ინათებს და განთიადი  
გაღმოეშვება წითელ ფერებით,  
როცა დღეები დგება მზიანი  
და იღტაცებით მღერს ჩემი ქნარი,-  
მიყვარს სოფელი მშვიდი და წყნარი!  
სოფელი ჩემო! დროშა შვებისა  
ააფრიალე სულ მაღლა, მაღლა;  
მოდგა გრიგალი განახლებისა  
და შენ არა გწამს შრომაში დაღლა.  
ქვეყანა ვრცელი, თავისუფალი,  
მედგარი ფრენით მზისაკენ მიჰქის;  
აღარ აწუხებს რკინის უღელი,  
აღარ აწუხებს შავ-ბნელი ფიქრი.  
და სიხარული გმართებს შენც ახლა...  
სოფელო ჩემო! დროშა შვებისა  
ააფრიალე სულ მაღლა, მაღლა!  
აჟყვი ხშაურს, ყიუინას მედგარს,  
მტერზე აღმართე ბასრი მახვილი;  
შენში ძლიერი გულები ფეთქავს,  
ვერ შევაშინებს ავი ძახილი.  
წინ! გადალახე ბნელი ტყეები

და მზე იხილე მთების გადაღმა;  
ღამის ბარდები უკვე გადახმა,  
მოდიან შენთან შვების ღლეები!  
წინ! გადათელე შავი აჩრდილი,  
აჟყვი ქალაქს, ყიუინას მედგარს  
და მტერს ჩაეცი ბასრი მახვილი.  
შენსკენ კივილით მოდის მანქანა,  
მოდის წიგნები, მოდის გაზეთი;  
შენ არ გიხილავს ამგვარი ხანა,  
შენ არ გიხილავს დრონი ასეთი.  
სამაგიეროდ უტვირთავ ურმებს  
ჭირნახულებით, მღელვარ ქალაქებს,  
რომელიც ქურას, გრდემლს ახმაურებს  
და ბარ-სახნისებს შენთვის ალაგებს!  
სოფელო ჩემო! ამგვარი ხანა  
არვის უხილავს ჯერეთ, ასეთი;  
შენსკენ კივილით მოდის მანქანა,  
მოდის წიგნები, მოდის გაზეთი!..  
დიდება შენდა, ცხოვრების წყაროვ,  
დიდება შენდა, გლეხო მშრომელო;  
შენით სახროობს მთელი სამყარო.  
მე ვესალმები შენს მიწურ ქოხებს,  
მე ვესალმები შენს შრომის შვილებს,  
რომელნიც ნათელ კომუნისათვის  
ცაზე ანთებენ წითელ აჩრდილებს.

არნო ონელი



ინოს ეძინებოდა, თბილოდა და მის მოხუჭულ თვალებს ირგვლივ ჟველაფერი საყვარლად და სასიმოვნოდ ეჩვენებოდა.

ნამდვილად კი ქოხი, სადაც ახლა ესეც არის მთელმა ოჯახმა მოიკალათა დასაძინებლად, ძალიან ჭუჭყიანი და პატარა იყო, ისე პატარა, რომ მოზრდილი ადამიანი ძლიერ გაიმართებოდა შიგ.

კარის მაგივრობას ხვრელი სწევდა, რომელსაც თეთრი და თვის ტყავი ჰქონდა იფარებული. ფანჯრის მაგიერ ყინულის გამჭვირვალე ფირფიტა ედგა და კედლები ყინულისავე სქელი აგურისებური ნაჭრებისაგან იყო ამოყვანილი. გუმბათისებურ ჭერში გამოყიდებული იყო სელაპის ქონით სავსე ქოთანი, ხავსის ფითოლით, და ანათებდა ქოხს.

მაგრამ ინოს ხომ არასოდეს არ ენახა სხვა სახლი და მისი ბინა სასახლედ ეჩვენებოდა, განსაკუთრებით ახლა, როდესაც ისე საშინლად ღმულდა განაპირობის ხრდილოების საშინელი ქარი.

ინო პატარა ესკიმოსი ბიჭი იყო, მაგრამ ძალიან კარგად იცოდა, რაც ხდებოდა ახლა გარეთ: საშინელ სიბნელეში თოვლის ნემსებრს გაცოფებული კორიანტელი ტრიალებდა და ერთი წუთის განმავლობაში ჰყვიდა და ჰყრიდა თოვლის უშველებელ მთებს. ქარი ამსხვრევდა ყინულის კლდეებს და შორს ჰყანტავდა მის ნამტვრევებს. ამ დროს ყოველი ცოცხალი არსება იმალება ქოხებში და ბუნავებში და ვაი მას, ვისაც არა აქვს ამ დროს თავ-შესაფარი.

გარეთ სიბნელე და საშინელებაა, აქ კი სითბოა, ჭალი ანთია, — ინო ღიმილით ხუჭავდა თვალებს დასაძინებლად.

ინოს მამა ტომის ბელადი იყო და ჟველანი პატივს სცემდენ მას, როგორც გონიერ და სამართლიან მამაკაცს.

უცბად ძალმა დაჭყეფა, მას ბანი მისუა მეორემ და ჩქარა ღალების საშინელი გამწარებული

ყეფა ასტყდა. ძალლებს გასასვლელ ხვრელში ეძინათ.

ქარბუჯში ისინი არასოდეს არ ყეფდენ, თითქოს გრძნობდენ წყვდიადში ქარბუჯის სასიკვდილო სუნთქვას და სიცივისაგან აკან კალებულნი ერთმანეთს ეკვროდენ.

ქოხში ცველას გაელვიდა. ინომ დაინახა, როგორ ადგა მამა და უფროსი ძმა, დაინახა, როგორ შეძვრენ ხვრელში, რომ გარეთ გასულიყვნენ, გაი-



შემოიყვანა ზურგზე მოჰიდებული ადამიანი.

გონა, როგორ აწყნარებდენ ისინი გააფთრებულ ძალლებს...

ვინ უნდა მოსულიყო ამ საშინელ ქარში და სიბნელეში?

იქნება ეს ყინვისა და სიბნელის სულები დაძრწიან ჩვენი ქოხის წინ? — ფიქრობდა შეშინებული ინო და გული უთროთდა...

მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ ინოს მამა და ძმა შემოვიდენ. ძმამ შემოიყვანა ზურგზე მოკიდებული ადამიანი, მამა კი შველოდა შემოსვლის მეორე ადამიანს, რომელიც ბარბაცებდა და ძლიერ ადგამდა ფეხებს. რა უცნაური სახე ჰქონდათ ამ ადამიანებს! ისინი სრულიად არ ჰგავდენ ინოს ხალხს, ინუიტებს, როგორც ეძახიან თავიანთ თავს ეკიმოსები.



ახალშემოყვანილებს ტანთ გახადეს და სხეული თოვლით დაუზილეს. ამნაირი თეთრი ტანი ინოს არასოდეს არ ენახა.

ასე გაეცნო პირველად პატია ესკიმოსი ბიჭი ინო თეთრ ადამიანებს. ეს მოხდა საშინელ ქარბუქში, პოლიარული დამის წყვლიადში, შორეული ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანეს ნაპირას.

გავიდა რამდენიმე კვირა. სუსხიანი ღამის აღსასრული დგებოდა: ამას ამტკიცებდა რამდენიმე საათის განმავლობაში უკუნეთი ღამის ნაცრისფერ ღამედ შეცელდა.

ღიახ, პოლიარული უღამო ზაფხული — დღე — ახლოს იყო.

მაგრამ ინოს ტომის ხალხს სანოვავის მარაგი უთავდებოდა.



გაუბედავად მიჰიოდენ დაბინდულ სივრცეში

მთელი ტომის მონადირეები სელაპებზე სანაღიაროდ იყვნენ გასული. ზამთრობით ძნელია სელაპებზე ნაღირობა: ოჯეანეში ყინულის გაჭრა და გამოჭრილი ყინულის ჭის პირად დაუსრულებლად ჯდომა სიბნელეში და ლოდინი.

ხანდახან ნადირი, როდესაც ოკეანეში მისცურავს ყინულს ქვეშ, ამოკუოფს თავს გამოჭრილ აღვილას წმინდა პაერის შესასუნთქავად. მაშინ მონაღირე დროს იხელთებს და მოკულავს მას. მაგრამ ნაღირი ძვირად მოდიოდა ხოლმე და მონადირეები უმეტეს ნაწილად ხელცარიელი ბრუნდებოდენ.

შიმშილი მოადგა ესკიმოსების ქოხების კარებს. დღეს ინო შინ დარჩა დედასთან და თეთრ სტუმრებთან. მამა და ძმა სანაღიაროდ წავიდენ. თეთრებიც დადიოდენ სელაპებზე სანაღიაროდ ესკიმოსების ტომის მონადირეებთან ერთად, მაგრამ იმათი ნაღირობის წესი არ მოსწონდათ მათ, გაუნძრევლად ჯდომა და ცქერა მთელი საათების განმავლობაში ყინულის ჭასთან ემძიმებოდათ, ამიტომ ხშირად

რჩებოდენ შინ, ესაუბრებოდენ და ეთამაშებოდენ ინოს. იმათ ძალიან ჩქარა ისწავლეს ესკიმოსების მარტივი ენა. ინო ძალიან დაუმეგობრდა მათ. რას არ მოუთხრობდენ ისინი ინოს ისეთი სახლებისა და ნივების შესახებ, რომლებიც ესკიმოსების მთელი სოფლის ხალხზე მეტ ხალხს იტევდა, დიდ და მაღალ მწვანე შრიალა ხეებზე და მცუნვარე, ნათელი შზის შესახებ, რომელიც მთელი წლის განმავლობაში აშუქებდა ყაველდლე... ინო არ უჯერებდა...

— ზღაპრებია... მაგრამ რა საუცხოვო, მშვენიერი ზღაპრებია! — ფიქრობდა ის.

— გავიდეთ, პატარავ, გარეთ, — უთხრა უფროსამი თეთრისა სტუმარმა და მიმართა თავის ამხანაგს ინგლისურად, — წავიდეთ, ჯონ, მომბეჭრდა ამ ხვრელში ჯდომა...

— რასეკვირველია, მოსაბეჭრებელია, კაპიტანო სელკირკ, — ვიუგო ჯონმა, მაგრამ ვისი ბრალია, ვინ გვატანდა ძალას, რომ გამოვიჭრით ამ უღაბტრ ძხარეში... ბეწვიანი მეტებით, მამონტის ეშვებით... იქ ჩვენ ოქროს გორები გველისო... და, ამა, ჩვენი გეში დაიშვრა, ამხანაგები დაგველუპა. ჩვენ ავ ხვრელში გვიცდეთ აც ცხოვრება და შიმშილით სიკვდილი მოგველის ამ ველურებში. თუმცა ეს პატარა მაძლებინებს: საკვირველი კარგი ბავშია... წავიდეთ, ინო, — მიმართა ჯონმა ბიჭუნას ესკიმოსის ენაზე.

ინოს, როგორც ნამდვილ ესკიმოსს, არ უყვარდა ზამთარში ქოხიდან გამოსვლა. მან შეხედა დედას, რომელიც ჩუმად იჯდა შუა ქოხში, ქოთანში დანთებული სელაპის ქანის ცეცხლთან, რომელიც ოდნავ ბეუტავდა (როდესაც შიმშილობაა, ცეცხლი ძლივა ბეუტავს ესკიმოსების ქოხში: უფრთხილდებიან ქონს).

დედამ უკმაყაფილოდ შეხედა თეთრებს: მასაც არ ესმოდა, რატომ უნდა მიეტოვებიათ თბილი კერა ამისთანა დროს. ისინი ხომ სანაღიაროდ არ მიღიოდენ... მაგრამ არაუერი არ სთქვა, ინო კი, რომელსაც არ უნდოდა ეწყენინებია მეგობრებისათვის, შეუდგა ჩაცმას. რამდენიმე წამში ის უკვე ბეწვებში იყო წეფუთნული. პატარა ცული, მამის ნაჩუქარი, წელში ჰქონდა გარჭობილი.

ინგლისელები გაუბედავად მიდიოდენ დაბინდულ სივრცეში, ხანდახან შექერდებოდენ და არ იცოდენ სიით წასულიყვნენ. ინო ყოჩაღად მიუძლოდა წინ გაყინულ ზვავებსა და ხევებში.

სარ მცდიოდენ, ინო თვითონაც არ იცოდა. სტუმრებს მოსწყობათ ქოხში ჯდომა, სიარული

ეხალისებოდათ და ინოსაც მიჰყავდა ისინი სადღაც, უმიზნოდ.

კარგახანია გაშორდენ ინუიტების სოფელს. ყოველის მხრით თოვლის ტრიალი მინდორი და ძალის გაყინული თოვლის ჭვინები და ხრამები ლან-დებივით მოსჩანს სიბნელეში.

— შეჩვენებული ქვეყანაა, — ამბობდა სელ-კირკ, — არცერთი ხე, არცერთი ჩიტი... ერთი პატია ბელურას ჭყივილი მაინც გამეგონა!.. თფუ... მან გადააფურთხა... ფურთხი გაიყინა სუსტი და გაყინული მარცვალივით რაკუნით დაეცა ძირს. — აი დაიქცეს ძალარობა... ლაპარაკიც კი არ შეიძლება სიცივისაგან... — და ისევ ჩუმად განაგრძეს გზა.

— დავბრუნდეთ, კმარა, — სთქვა ჯონმა, — სრულიად გავიყინე! როდესაც ლაპარაკობდა, სიტყვებთან ერთად თეთრი ორთქლი ამოსდიოდა პირიდან.

— მართალია, ცივა, დავბრუნდეთ, — დაადასტურა სელკირკმა, — მაგრამ... ინო სადღაა?

ორივემ დაიწყეს იქით-აქეთ ყურება. ბიჭი უკვე კარგა წინ წასულიყო და ახლა გაჩქარებით აღიღდა თოვლის გორაკზე.



გავარდა თოფი.

— ინო, ინო, — დაიძახა ჯონმა.

ინო, ბეჭვებში შეფერხული, პატარა, რგვალი, შეჩერდა, მოტრიალდა ინგლისელებისაკენ, ხელი მიიფარა პირზე, ანიშნა ჩუმად იყავითო და სწრაფად გაქანდა წინ.

სელკირკ და ჯონ სირბილით გამოუდგენ ბავშვს. რატომ, რისთვის — თვითონაც არ იკოდენ. მაგრამ პატარა ბიჭის საქციელსა და მთელ მის მიხვრა-მოხვრაში რაღაც ისეთი იყო, რომ იზიდავდა მათ მწვერვალისაკენ, სადაც ინო გაჩერდა.

— ნელა, ჩუმად, — ჩურჩულით. წარმოსთქვა ინომ.

ინგლისელებმა სული გატვრინეს.

— ახლოს არის, სულ ახლოს, — ჩურჩულობდა ინო.

— ვინ? — ჩურჩულითვე ჰეითხა ჯონმა.

— ის, ის... ჩუმად!

რამოდენიმე წუთს სიჩუმე ჩამოვარდა. ინგლისელებს წუთები საბორბად ეჩვენებოდათ. ინო ვერ ამჩნევდა დროს, თვალებანთებული იდგა უძრავად. მან თვითონ დაინახა თავისი მახვილი, სიბნელეს შეჩვეული თვალებით „ის“, პოლიარული ქვეყნის უზარმაზარი თეთრი დათვე.

— ოჲ, ასე ადრე გამოსულა თავისი ბუნაგიდან! რა იქნება, რომ მოვკლათ და ნადავლით დავბრუნდეთ შინ! — ინომ ცოცხლად წარმოიდგინა დედის გაცინებული სახე, მამის სიხარული... — წავა, წავა, — შეწუხებული ფიქრობდა ინო. — განა ესენი მონალი-რეები არიან, მაგრამ მათ ხომ ცეცხლი და მეხი აქვთ ხელში.

უცებ გავარდა თოფი. ინო ერთბაშად შეშინდა, თუმცა ის უკვე შეეჩია ინგლისელების ხელში ცეცხლსა და მეხს, მაგრამ მაინც ყოველთვის აღტა-ცებით და გაკვირვებით უყურებდა ამ უცნაურ იარალს.

რამდენიმე საუენტე გამოჩნდა უშველებელი ლანდი, მხეცმა იგრძნო რაღაც საშიშრიება და სი-ფრთხილით მიიჩნაზნებოდა ნახევრად ბნელ სივრცეში.

თოფის სროლის გრიალმა გაჰკვეთა გაყინული პარი.

ეს ჯონი შეეცადა მოეკლა დათვი.

პასუხად მხეცის საშინელი ღრიალი გაისმა, როგორც უპუ. სელკირკ თავზარდაცემული იდგა თოფით ხელში. ჯონ სწრაფად სტენიდა თოფს. ინო სრულიად არ გრძნობდა. შიშს: წინაპართა მონადირის ინსტინქტმა გაიღვიძა პატარა ბიჭის არსებაში. მოუთმენელად, გულისფანცელით ატრიალებდა ის ხელში თავის პატარა ცულს.. თოფის ხმამ ისევ დაიკეთა — ესროლა სელკირკმა. დათვმა ისევ დაიღრიალა. მხეცი დაჭრილი იყო, მაგრამ გაძლიერდა არ ფიქრობდა. გაცოფებული, ტკივილისაგან გაშმაგებული შეტორტმანდა ის და ღრიალით ეკვეთა ადამიანებს. ერთი წუთიც — და მისმა უზარმაზარმა სხეულმა ქვეშ მიიტანა ჯონი.

— დაიღუპა, — დაიყვირა სელკირკმა.

მაგრამ ინო თვალის დახამხამების უმაღლ მათთან გაჩნდა და მისი. პატარა ცული მძლავრად დაეცა თავზე მხეცს. დათვმა ასწია თავი და მის ღია ხახაში ბასრმა კბილებმა გაიელვა. კიდევ დაიგრიალა თოფმა და მხეცი დაბარბაცდა და გარშელართა...

გაათკეცებული ძალ-ლონით გადასწიეს დათვი  
სწრაფად.

ჯონ?

ცოცხალი იყო.

ის მხოლოდ დაბეჭა დათვის სიმძიმემ.

— ინოს დაუმაღლე, — უთხრა სელკირქმა ამხა-  
ნაგს, — მას ჩომ არ დაეკრა ცული... და მან აჩვენა  
დათვის თავზე ინოს ცულისაგან გაჩეხილი კეფა.

ჯონმა აკოცა ინოს. ინოსავის არავის არ უკოცნია არასოდეს. ამნაირი ალერსი გაუგებარი იყო  
მისთვის. ლოყაზე გაეთოშა, მაგრამ მაინც ესიამოვ-  
ნა. ის ხომ ახლა მონადირეა, ნამდვილი ინუიტი,  
ტომის ბელადის ლირსეული შვილი!



ქოხში სიხარული სუფევდა.

ნადირობიდან ხელცარიელად დაბრუნებული  
ინოს მამა და ძმა, თუმცა დაღლილ-დაქანცული  
იყვნენ, მაინც სიხარულით გაემართენ ძალებით  
მკვდარი დათვის გადმოსატანად.

რამდენიმე საათის შემდეგ ბელადი უკვე უნა-  
შილებდა ინუიტების ოჯახებს დათვის გემრიელ  
ხორცს. მხეცის უშველებელი ტყავი კი გარეთ შრე-  
ბოდა ყინვაზე, ქოხის კარებთან.

დედა უალერსებდა ინოს, მამა ეუბნებოდა,  
მონადირე ხარო. ქოხში სიხარული სუფევდა: უვე-  
ლანი მაძღრები და კმაყოფილი იყვნენ.

„იყო ერთი დიღი, დიდი, უსარმაზარი და-  
თვი“, — მხიარულად მღეროდა გაბმული, ერთფერო-  
ვანი ხმით ინოს მამა.

ესკიმოსები ყოველთვის მღერიან იმის შესახებ,  
რაც მათ აკვირვებს.

— ადრე ადგა დიდი დათვი და გამოვიდა თავისი  
ბუნაგიდან.

ადრე გამოძვრა ლამაზი და თეთრი დათვი სა-  
კმელის საშოვრად.

ინომ უშიშრად დაპკრა მას თავში თავისი ცული.  
თეთრებმა მოჰკლეს დათვი თოფში დამწყვდე-  
ული მეხით.

ინო ყოჩალი მონადირე იქნება!

ინო მოჰკლავს ბევრ, ბევრ დათვს!

ინო დაიკერს ზღვაში ბევრ, ბევრ თევზს.

„ ინო მოიტანს ბევრ, ბევრ ნანადირევ  
გემრიელ სელაპს!..

ინოს ვერ შეაშინებს ვერც ქირიშხა-  
ლი, ვერც ზღვის ზვირთები.

ვერც სელაპის ეშვები, ვერც დათვის  
თათები“...

ინო მხიარული და ბედნიერი იყო.  
უფროსი ძმა, უკვე განთქმული მონადი-  
რე, უცინოდა მას.

ამა ისევ განაგრძობდა მღერას ახლა  
საშინელი პოლიარული გრიგალის და გა-  
მბედავ თავგანწირულ მეომართა შესახებ,  
სიბერის და სიცივის სულებზე ნადირო-  
ბასა და ინუიტების სიყოჩალეზე და უვე-  
ლანი ბანს აძლევენ მას და ერთგვარი

გაბედული ჰანგი ავსებდა ქოხს. მხიარული იყო მა-  
თი სახეები. იმათი სიხარული ევროპელის მქუხა-  
რე მხიარულებას კი არ ჰგავდა, ეს იყო დინჯი,  
სერიოზული ზემი შორეული ცივი ჩრდილოეთის  
შვილებისა. ინგლისელები გაკვირვებულნი შესცე-  
როდნ ესკიმოსების მხიარულებას.

— უნაურია, რა ახარებთ, ხვალ-ზეგ შიმში-  
ლით სიკვდილი მოელისთ... ბავშებივით არიან, —  
ფიქრობდა ჯონ.

სელკირკ არაფერს ამბობდა, მას აწუხებდა ხვა-  
ლინდელ დღეზე ფიქრი.

კ. ლეო.

(დასასრული იქნება).

## ԲՅԵՆՈ ՑԵԼԿԱԾԵՑՈ



## ԱԼԵՔՍԱՆԴՐԻ ԽՈՒՅՑԸ

დაიბარა 1881 წლის 19 მარტს ვიატკის გუ-  
ბერნიაში, გლეხის ოჯებში.

კერ კიდევ ბავშვ ბედანვე ა. რიკოვს უხდება  
გაჭირვების და სილარიბის ოფანა.

## ჩვენი გუმაობა

(J. 8260)

ნორჩ პიონერთა გორის ორგანიზაციის კო-  
ლექტივი დაარსებულია 1925 წელს. ის მუშაობს  
ნაყოფიერად და თვისი მღვაობის მხრივ არ ჩამორ-  
ჩება სხვა კოლექტივებს.

ეს კოლექტივი ამჟამად 65 პიონერს და ოქ-  
ტომბრელს აერთიანებს. კოლექტივის მეცადინეობა  
გვაქვს კვირაში ერთხელ, შაბათობით. ყველა პიო-  
ნერი იღებს მონაწილეობას საუბრის ირგვლივ გა-  
მართულ კამათში და სხვა... .

ჩვენი კოლექტივი მიმაგრებულია გორის მე-III-ე  
შრ. 2-ს, სკოლასთან არსებულ ა. ლ. კ. კ. უჯრედ-  
ზე, რომელიც შეძლებისდა გვარად გვეხმარება. ამ  
ბოლო ხანებში უფრო მეტ ყურადღებას გვაქცევს.  
ამ უჯრედმა კოლექტივში გაღმოვვიგზავნა რამდენ-  
იმე კომეკაშირელი ამხანაგი, რომლებიც ჩამბული  
არიან კოლექტივის მუშაობაში.

გიმაზიაში ყოფნის დროს ის ებება რევოლუციონურ მოძრობაში და აქტიურ მონაწილეობას იღებს მასში, სხვებთან ერთად ის ზრუნვებს იმაზე, რომ მუშათა და გლეხთა მასები განთავისუფლდებით, ბურჟუაზიის და მემამულეების ბატონობა-შევიწროებისაგან.

ა. რეკოვის რევოლუციონური მუშაობა არ გა-  
მოეპარა მეფის მთავრობას და ამიტომ მას ხშირად  
პატიმრებდენ. სულ ის სატუსალოში იჯდა  $7\frac{1}{2}$   
წელი, გადასახლებული იყო რამოდენიმეჯერ.

მაგრამ რიკოს სრულიად არ უტეხდა გულს  
ასეთი მდგომარეობა. ის ყოველთვის იყო რევოლუ-  
ციისათვის და მუშათა კლასის განთავისუფლებისა-  
თვის თავგანწირული და უერთვულესი მებრძოლი.  
როდესაც სოციალ-დემოკრატიული პარტია გაიყო  
ორ ნაწილად — ბოლშევიკებად და მენშევიკებად —  
რიკოვი გადაწყვეტილ და მტკიცედ გადავიდა ლენი-  
ნის, ბოლშევიკების მხარეზე და ბოლომდე დარჩა  
მისი მოძღვრების ერთგული.

Յարդիու Տաթևու օս Աստվածաբան և Պատրիարք  
Աստվածաբան Միջազգային Սահմանական Խորհրդական Եկեղեցին,

ლენინის სიკვდილის შედეგ რიკოვი არჩეულ  
იქნა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავ-  
შირის სახალხო კომისართა საბჭოს და შრომის და  
თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარედ. ის ითვლება ამა-  
ვე დროს პარტიის ცენტრალური კომიტეტის პო-  
ლიტბიუროს წევრად.

ნორჩი თაობა უნდა გაჰყვეს თავისი ბელადის გზას, უნდა იმუშაოს მისებრ მუშათა კლასის საკეთოლდევოდ და სოციალიზმის დასმყარებლად.

ვუშევებთ ორკვირეულ ორგანოს, კედლის გა-  
ხეთს „ოქტომბრის სხივს“, რომელშიაც მონაწი-  
ლეობს პიონერების ღიღი რიცხვი და შექდება კო-  
ლექტივის როგორც მიღწევანი, ისე ნაკლი. კო-  
ლექტივში გვაქვს ჩამოყალიბებული პიკორთა წრე,  
რომელსაც ხელმძღვანელობას უწევს სარედაქციო კო-  
ლეგია და აწყველის წერილების წერას, რის გამოც  
ყველა პიკორთა გარკვევით იკის პიკორის ამონანები.

ჩვენ გაზეთს ამ მოკლე ხანში შეუსრულდება ერთი წლის არსებობის თავი და, იმედია, ეს ჩვენი გაზეთი შეიქმნება უფრო გრავალფეროვანი და გახდება ნამდგრილი სარკი კოლექტივის ცხოვრებისა.

ჩვენი კოლექტივი ოქტომბრის რევოლუციის  
სახელობის კოლექტურთან ერთად ამზადებს პიე-  
სებს - საღამოს ჩასატარებლად, საღაც მოწვეული  
იქნებიან პიონერთა შოთბლები, რათა თვითონვე  
გაეცნონ თავიანთი შვილების უნარიანობას და შე-  
მოქმედებას. აი ასეთია მოკლედ ჩვენი კოლექტივის  
მდგომარეობა. მართოლია, აქვს ნაკლიც, მაგრამ ეს  
თანიანთან მოვარეობული იქნება.

# სანიტარულ-ჰიგიენური ჩვეულებანი პიონერთათვის.

(დასასრული).

ჩვენი პიონერების გაჯანსაღების საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სანიტარულ-ჰიგიენური ჩვეულებების შეთვისებას. არც ფიზიკურ ვარჯიშობას და არც სხვა რაიმე გამაჯანსაღებელ საშუალებას, რომელთაც ადგილი აქვთ კოლექტივის მუშაობაში, არ შეუძლია მოიტანოს პიონერისათვის შესაფერისი სარგებლობა, თუ არ იქნა დაცული სანიტარულ-ჰიგიენური წესები.

თვითეულ პიონერს უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი სანიტარულ-ჰიგიენურ ჩვეულებათა მნიშვნელობა და უნდა ცდილობდეს მათ შეთვისებას. მაგრამ ამ სასარგებლო ჩვეულებების შეთვისება ერთბაშად კი არ შეიძლება, არამედ საჭიროა ყოველდღიური განუწყვეტლივი მუშაობა, რომ პიონერმა სასურველ შეღევებს მიაღწიოს.



ჩვენს პიონერებს, ალბათ, გაუგონიათ, თუ რამდენად საშიში ავადმყოფობაა ჭლები და თუ რა როლს თამაშობს ხსენებული ავალმყოფობის გავრცელებაში მტვერი. მტვერში ხშირად იმყოფება ხოლმე ჭლების გამავრცელებელი ბაცილები. აი რატომ არის აკრძალული იატაკზე დაფურთხება და არც ერთი პიონერი არც კოლექტივში, არც სახლში და არც სხვა აღგილზე არ უნდა აფურთხებდეს იატაკზე. ეს ცუდი ჩვეულება აუცილებლად უნდა იქნეს დავიწყებული.

ახლა შევეხოთ სხეულის სისუფარ ბიონერი, რომელიც არ ზრუნავს ჯანმრთელობაზე. მეტად მავნებელია. საქმე იმაშია, რომ აღამიანი, გარდა ფილტვებისა, კანითაც სუნთქვას და თუ კანი გაბინძურებულია, სუნთქვა ცუდად იწარმოებს. ამიტომაც პიონერი ხშირად უნდა იბანდეს ტანს. არც შეეხება ხელ-პირს, ცხადია, რომ საჭიროა ყოველდღიური დაბანა; საჭმელის მიღების წინ ხელების დაბანა აუცილებელია.



ბინძურობა ხელს უწყობს სხვა-დასხვაგვარი ავადმყოფიბის გაჩენას და გავრცელებას. ცხადია, რომ პიონერი ტანისა და ბინის სისუფთავეს დიდ უურადღებას უნდა აქცევდეს. ყოველი პიონერის თვის სავალდებულოა ხსნებულ ჩვეულებათა შეთვისება.

აქვთ მოგვყავს პიონერთა წესები ჯანმრთელობის დასაცავად:

1. პიონერი ფხიზელი და ამტანია. დილით აღრე დგება, ხელ-პირს იბანს და ვარჯიშობს.

2. პიონერი სუთთად იცვამს ტანსაცმელს და ორ კვირაში ერთხელ მაინც იბანს ტანს.

3. პიონერი ოთახს ასუფთავებს და ეჩვევა ღამ-ღამობით გაღებულფანჯრიან რთახში ძილს.

4. პიონერი საჭმელს თავის დროზე ღებულობს, ჭამის ღრუს არ ჩქარობს და ჭამის შემდეგ კბილებს ირეცხავს.

5. პიონერი ხელს არავის არ ართმევს, მისალმებისათვის მცს აქვს თავისი დადგენილი სალამი. ხელის ჩამორიგმევით რაიმე ავადმყოფობის შეძენა შეიძლება.

6. პიონერმა იცის, რომ მისთვის საჭიროა ჯანმრთელობა, ამიტომაც იგი სარგებლობს მზით, წყლით და ღრმად სუნთქვას.

7. პიონერი იატაკზე ა. აფურთხებს, იგი გულმოდენედ იცავს სისუფთავეს.

8. თამბაქოს მოწევა ასუსტებს მეხსიერებას და ცუდად მოქმედობს გულზე და ფილტვებზე, ამიტომაც პიონერი მტერია თამბაქოს მოწევისა.

9. პიონერი არც ღვინოს სვამს, რაღაც იგი აღამიანის ორგანიზმზე კიდევ უფრო ცუდად მოქმედობს; თამბაქოს წევისა და ღვინის სმისაგან სიცოცხლე მოკლდება, მრავლდება ავადმყოფობის და სიკვდილის შემთხვევები.

8. გორგაძე.

# როგორ უნდა ჩამოვაყალიბოთ რგოლის და კოლე- ქტივის მუშაობა.

(დასასრული).

## დღიურის შედგენა და კუთხის მოწყობა

რომ ჩვენ ნათლად დავინახოთ, თუ რა გააკე-  
თა რგოლმა, უნდა ვწერდეთ დღიურს. ამისთვის კი  
საჭიროა პიონერმა რვეულში ჩაიწეროს ყველა-  
ფერი, რასაც აკეთებს რგოლი. რვეულში სწერენ  
ყველა პიონერები რიგ რიგობით. შეიძლება დღიუ-  
რებში მოთავსებულ იქნეს სურათები რგოლის ცხოვ-  
რებიდან.

კოლექტივში რგოლს აქვს თვისი კუთხე, სა-  
დაც ხდება რგოლის მეცადინეობა და კრებები.  
კუთხეს აქვს წარწერა, თუ რომელ რგოლს ეკუთვნის  
ის. კუთხე მოწყობილია სხვადასხვა სურათებით და  
პლაკატებით. მოთავსებულია აგრეთვე რგოლის სა-  
მეცადინო ცხრილი. კუთხეში თავსდება აგრეთვე  
მოდელები, ექსკურსიები მატანილი საგნები, პი-  
ონერებისგან დამზადებული სხვადასხვა ნივთები.  
კუთხეები, ისე როგორც დღიურები, რგოლის მუ-  
შაობის გამომხატველი უნდა იყოს.

## პიონერები ერთმანეთს ეხმარებიან.

რომ რგოლის მუშაობა ნაყოფიერად მიმდანა-  
რეობდეს, უპარველეს ყოვლისა საჭიროა თვით პი-  
ონერებს შორის მეგობრული ურთიერთობის დამყა-  
რება, კავშირის განმტკიცება. ყოველთვის უნდა გვა-  
ხსოვდეს, რომ შეერთებული ძალით ყველაფრის გა-  
კეთება შეიძლება. თუ პიონერი პიონერს არ ენდო-  
ბა, ერთიმეორეს დასცინიან, ამით არაფერი არ  
გამოვა და ვერაფერსაც ვერ გავაკეთებთ. უნდა  
იყოს ერთიმეორის გაგონება, დაჯერება, ხშირად ხდე-  
ბა, რომ როდესაც პიონერი პიონერს რაიმეს ავა-  
ლებს, ბევრი პიონერი ამას უკადრისობს, ანდა რო-  
დესაც გამოცდილი პიონერი გამოუცდელს ასწავლის,  
ეს უკანასკნელი ამას თავილობს, ჰქონია, თითქოს  
მან ყველაფერი იცის. ეს არ ვარგა, ასეთი ურთი-  
ერთობით მეგობრული და მტკიცე კავშირი არ და-  
მყარდება. ხშირად არის ასეთი შემთხვევები: როდე-  
საც პიონერი კრებაზეა, ის გაჩუმებულია, არაფერს  
ლაპარაკობს, მიუხედავად იმისა, რომ მას აქვს რა-  
ღაც სათქმელი. გათავდება მეცადინეობა თუ არა,  
შემდეგ ასტებს ერთ აურზაურს. ასეთი მოქმედება  
პიონერს არ შეეფერება. თუ რამე სათქმელი აქვს, უნ-

და სოქვას კრებაზე, რომ ყველა ნაკლი საერთოდ  
გამოასწორონ.

ყოველი პიონერი უნდა გრძნობდეს, სადაც არ  
უნდა იყოს ის, გინდ სახლში, გინდ სკოლაში,  
გინდ ქუჩაში, რომ მას გვერდში უდგას მთელი კო-  
ლექტივი, რომელიც მას დახმარებას გაუწევს ყო-  
ველ ღროს, ყოველ საკითხში. პიონერები ერთიმეო-  
რის ცხოვრების პირობებს კარგად უნდა იცნობდენ.  
თუ რომელიმე პიონერს მშობლები არ უშვებენ  
კოლექტივში, კოლექტივს შეუძლია გამოარკვიოს  
ამისი მიზნები და კიდევ მოაგვაროს ეს საკითხი.  
თუ რომელიმე პიონერი ვერ ასწრებს სკოლაში  
მეცადინეობას, არ აქვს სახელმძღვანელო წიგ-  
ნი, დანარჩენ პიონერებს შეუძლიათ დაეხშარონ  
ამაში. როდესაც შენ ხედავ, რომ შენი ამანაგი სა-  
მუშობოს ვერ უმკლავდება, მიდი და დაეხმარე მას,  
მანამ ამაზე სხვა მიგითოთებდეს. საჭიროა ერთიმე-  
ორის დახმარება, ურთიერთ შორის მეგობრული  
კავშირის განმტკიცება.

## პიონერი ინიციატივას უნდა იჩენდეს მუშაობაში.

ხშირად ჩვენ გვსმენია ბევრი პიონერისგან, რომ  
კოლექტივებს მუშაობა არსაინტერესოა, მოსაწყე-  
ნია. თავისთავად ცხადია, თუ პიონერს არ ახასია-  
თებს თვითმოქმედება, თუ პიონერი თავისი ინიცი-  
ატივით არ მიიღოტვის მუშაობისკენ, თუ არ ცდი-  
ლობს მუშაობის პროცესში შეისწავლოს და განა-  
ვითაროს ეს მუშაობა, მაშინ კოლექტივის მუშაობა  
მოსაწყენი იქნება. ყოველი პიონერი უნდა ცდი-  
ლობდეს შეიძინოს ცოდნა-გამოცდილება თავისი ინ-  
ციატივით, ის არ უნდა იყოს დამოკიდებული მარ-  
ტო წინამდლოლზე. წინამდლოლი მუშაობის ღროს  
საერთო ხელმძღვანელობას უწევს პიონერებს, ესე-  
ნი კი თავისი ინიციატივით ამუშავებენ და არკვევენ  
სხვადასხვა საკითხებს.

## საჭიროა დაგიცვათ დისციპლინა.

კოლექტივში ხშირად ხდება დისციპლინის  
(წესრიგის) დარღვევა. უმთავრესად ეს გამოიხატება  
პიონერის მიერ კანონების და ზე-ჩვეულებების და-  
რღვევაში. აი მაგალითი: პიონერები დგანან მწერივ-  
ში, ამ ღროს ერთიმეორეს ჰქონავენ ხელს, ღეჭენ

შზისუმზირას, წინამძღვალს დაცინვით ენას უჩვენებენ და სხვა, ანდა კიდევ ასეთი მაგალითი: კოლექტივის სამეცადინო ოთახში არის პიონერის ჯგუფი. ერთი მათგანი იატაკზეა გაშხლართული, მეორე ყვირის, მესამე იატაკზე აფურთხებს — განა ყველა ეს შეეფერება პიონერს? ცხადია, რომ არა. მაგრამ არის კიდევ უფრო ცუდი ყოფაქცევაც, როგორიცა ქუჩაში ჩხუბი, ლანძლვა-გინება. ყველა ქსენი სასტიკად აკრძალულია პიონერთა კანონებისა და ჩვეულებების მიხედვით. ასეთ მახინჯ ყოფაქცევას აუცილებლად უნდა ვებრძოლოთ. ყოველი პიონერი უნდა ცდილობდეს შესრულოს თავისი კანონები, თუ სურს გახდეს ნამდვილი ლენინელი. თუკი რომელიმე რაიმეს დაშვებს, მაშინ კოლექტივი (ე. ი. ყველა პიონერები) უნდა ეცადოს თავის ამხანაგს გამოასწორებინოს შეცლომები. ხშირად პატარა შეცლომისთვის პიონერს კოლექტივიდან რიცხავენ, ეს არ არის სწორი. ყოველი შეცომის გამოასწორება შეიძლება, განსაკუთრებით როდესაც ამას სჩადის ბავში და ჩვენც უნდა დავეხმაროთ ყველა პიონერს თვისი შეცლომების გამოასწორებაში. კოლექტივის და რგოლების მეტადინეობაზე სიარული ხომ უეჭველად საჭიროა: უამისოდ შეუძლებელია კოლექტივში მუშაობა. ყველა უნდა სცდილობდეს, რომ, თუ საპატიო მიზეზი არ ექნა, არ დააკლდეს კოლექტივის და რგოლების მეტადინეობას.

### რგოლის მუშაობის სხვა მხარეები

რგოლი თავის მუშაობაში შეუკავშირებელ ბავშებსაც უნდა იზიდავდეს, უნდა იწვევდეს თავის კრებებზე. თვითეულმა რგოლმა უნდა შეისწავლოს თავისი სახელწოდება. მაგ. რგოლი პარიზის კომუნის სახელწოდებით ვალდებულია შეისწავლოს პარიზის კომუნა და სხვა. რგოლები აწარმოებენ მუშაობას სახელოსნოებში. პიონერები ამზადებენ მასალებს კედლის გაზიერებისთვის. რგოლის კედლის გაზიერის გამოშვება მიზანშეწონილი არ არის. მასალები უნდა მოვათავსოთ კოლექტივის კედლის გაზეთში. იმ კოლექტივში, სადაც არის ოქტომბრელთ ჯგუფი, პიონერები უწევენ დახმარებას ოქტომბრელებს, ასწავლიან სიმღერებს, ლექსებს, თამაშობებს და სხვ.


როგორ ტარდება კოლექტივის საერთო მეცადინეობა (ან კრება).

ჩვენ გვქონდა ლაპარაკი რგოლების მუშაობაზე. ჩვენ ვთქვით, რომ რგოლები ლებულობენ დავალებებს. როდესაც რგოლები თავის დავალებებს შეასრულებენ, შემდეგ იწვევენ კოლექტივის საერთო კრებას. ამ კრებაზე უკეთებენ ჯამს ყველა რგოლების ნამუშევარს. კოლექტივის საერთო სხდომაზე ხდება შესწავლა სიმღერების, თამაშობების, ტარდები საუბრები. შეიძლება კოლექტივმა მოაწყოს ექსკურსია, საზოგადოებრივი სამუშაო. კოლექტივის საერთო კრებაზე პიონერები ერთად ითამაშებენ მას, რაც მათ შეისწავლეს რგოლებში, მღერიან რგოლებში შესწავლილ სიმღერებს. კოლექტივის მეცადინეობა უნდა დავიწყოთ თამაშობათა მოწყობით და შემდეგ გადავიდეთ სხვა საკითხებზე. იმას გარდა კოლექტივი ჯამს უკეთებს რგოლების ერთი კვირის ნამუშევარს, შემდეგ ამავე კრებაზე კოლექტივის წინამძღვალი ატარებს საუბარს მომავალი კვირის მუშაობის შესახებ.

### კომისიების მუშაობა კოლექტივში.

კოლექტივში შეიძლება ისებობდეს სანიტარული კომისია და სარედაქციო კოლეგია. სანიტარულ კომისიაში შედიან ყველა რგოლების წარმომადგენელები. სან.კომისია მუშაობს კოლექტივის საბჭოს ხელმძღვანელობით. რა შეადგენს სანკომისიის მოვალეობას? მისი მოვალეობაა თვალყური აღევნოს პიონერების მიერ სისუფთავის დაცვას, თვალყური აღევნოს სანიტარული და ჰიგიენური პირობების დაცვას კოლექტივების სამაცადინო ოთახში (იატაკის სისუფთავე, ჰაერის გაწმენდა და სხვ). სანკომისიის მუშაობა უნდა სწვდებოდეს იგრეთვე პიონერთ ოჯახებსაც. პიონერებმა კარგად უნდა იცოდენ არასანიტარულ-გიგიენური პირობების წინააღმდეგ ბრძოლის საშვალებები. ამისთვის კოლექტივის კრებაზე უნდა ტარდებოდეს საუბრები. ამ საკითხის შესახებ. კოლექტივის კუთხეებშიც უნდა იქნას გაშუქებული ამ საკითხის მნიშვნელობა. სარედაქციო კოლეგია ხელმძღვანელობს კედლის გაზიერის გამოშვებას, აგროვებს და ასწორებს მასალებს და ხელმძღვანელობას უწევს პიონერებს.

ლენსკი.



ჩვენი გეგმი მსოფლიოში.

ପ୍ରକାଶନ କାର୍ଯ୍ୟାଳୟ

(საფრანგეთის ახალშენების კბოვრებითან)

ერთმა ფრანგმა ბურჟუაზიულმა მწერალმა და-  
სტამბა წერილი, რომელშიც აღწერს თავის შთაბეჭ-  
დილებებს კონგრეში (საფრანგეთის დაპყრობილი აღ-  
გილი ცენტრ. აფრიკაში) მოგზაურობიდან. ფრანგი  
კომუნისტების ორგანო „ლუმანიტეში“ მოყა-  
ნილია საინტერესო ნაწყვეტი ამ წერილიდან, რო-  
მელშიც მეტად ნათლად არის დასურათებული  
საფრანგეთის კოლონიალური აღმინისტრაციის მო-  
პყრობა ადგილობრივი მოსახლეობისადმი. ას ეს ნა-  
წყვეტიც:

„...ბოდას ოლქის გუბერნატორმა ოფიციელი  
იქმნე სამი ჯარისკაცის თანხლებით გაგზავნა. სოფ.  
ხოდებმა არ ეს ში მისახლეობის დასასჯელად. გუბერ-  
ნატორის რისხება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ  
ამ სოფლის მცხოვრებლებმა უარი სთქვეს თავისი  
ქოხმახების სხვა ადგილის გადატანაზე. გლეხებია,  
ზანგებმა, ვერ დასტოვეს თავისი ნათესები, რადგან  
კარგად იცოდენ, რომ მათ მოსავალსაც და მიწებ-  
საც დაჰპატრონებოდენ ფრანგები. მიტომ მათ არ  
შეასრულეს ბრძანება ქოხების გადატანის შესახებ.  
აი როგორ დასაჯეს ისინი ასეთი ურჩობისათვის:

გზაში ოფიციერ იქმნეს თვითეული სოფლიდან  
მიჰყავდა ორი-სამი კაცი. ბოდემბარში მან მძვლიად  
წაიყვანა 12 კაცი. ყველა მძვლები მიაკრეს ხეზე  
და დახვრიტეს. ამის შემდეგ დაიწყო მცხოვრებლების  
ულეტი. ხუთი ძუძუმწოვარა ბავში ჩაჰკეტეს  
სარდაფში, სადაც შემდეგ ანთებული ჩალა ჩაჰკარეს”.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ სცენას ბურ-  
ულაზიული მწერალი ასწერს.

Հռաջուր ԱԵՄՑԽԹՑՑՑ ՃԱՅՑՑՑՈ ՈԵՇՈՅԵՑՑ  
Ցորյցլ օնդոյետնո վյաճա՛՛՛՛ մարդոյեց-  
Ցի ծագմացը այսպահան Ցհոմիս ցիցան, քլյուշն 12-16  
Տաս մը շառակն.

ინდოეთის სამთო მრეწველობაში ჩაბმულია  
11.170 ბავში. უმეტეს შემთხვევაში ისინი 15 წლისაც  
კი არ არიან. უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში  
ზვავმა, აფეთქებამ და მაღაროების ჩამონაგრევამ იძ-  
სხვერპლა 1.871 ბავში, ხოლო მძიმედ დაშვედა  
2.626 ბავში.

ეს სისხლიანი ციფრები, რომლებისაგან თავზე  
თმა ყალყზე დგება, და სისხლი ძარღვებში იყინება,  
გვიჩვენებენ, თუ რამდენი ბავში იღუპება ბურჯუაზის  
ჟინიანობით.

ინდოეთის საფეიქრო რაიონში მუშა-ბავშების ყოველ 1.000-ზე მუშაობის პირველ წელს იხოცება 667, გ. ი. სამილან ერთ წელზე მეტს ცხოვრობს მხოლოდ ერთი ბავში. ამ ქარხნებში მუშები მუშაობენ მთელი ოჯახით. ხშირად ისანი მუშაობენ შეუჩერებლივ 30 საათს და ასეთი მუშაობისათვის იღებენ სულ 2 მანეთს კვირაში.

რომ ბავშვებმა შიმშილისაგან არ იყვირონ,  
დედები მათ ორიაქს აძლევენ.

၁၀, ရုပွောက် ဂာစ်ဝါ ဗျာဒ္ဓဘိဝါ လာ အာဏာဂာစ်နှင့်  
ပို့မြတ်သူများ အာဏာလျှော်စွဲများ ဗျာဒ္ဓဘိဝါသွေး  
အာဏာပို့မြတ်သူများ ဖြစ်သည်။



## როგორ უნდა

ახლა საჭიროა წიგნის ჩამოჭრა; ამისათვის ფანჯრით უნდა გაისვას ხაზი იმ ფურცელზე, რომლის მიხედვითაც უნდა ჩამოჭრას დანარჩენი ფურცლები.

თუ რომ ხელთ არა გაქვთ სათანადო იარაღი, მაშინ სჭრით, სახაზავის საშუალებით, მჭრელი დანით.

სახაზავს მტკიცედ დავდებთ მოხაზულ ადგილს და მძიმე დაწოლით გავატარებთ დანას ნახაზზე..

მრგვალი დანით ფურცლების შეჭრა უფრო ადვილია, რადგან წიგნი იდება წნევეში, რომელსაც ქვეითა ფუცარი გამოშვერილი აქვს ერთი დუიმით, წიგნი კი მოჭრილია წნევით სწორედ დახაზულ ადგილზე.

ამ შეზოხვევაში წნევის ზეითა ფიცარი უნდა გადიოდეს დახაზულ ხაზზე და პარალელურად იყოს, თორემ წიგნი მრუდედ იქნება შეჭრილი.

შემდეგ წნევს ვდებთ იატაკზე ისე, რომ მოსაჭრელი მხარე რჩებოდეს ზევით; მარჯვენა მხრისაკენ მეორე გვერდს ვაბჯენთ მუცელს, ორივე ხელით გვიჭირავს მრგვალი დანა და ამრიგად ვჭრით ზედმეტ ნაპირებს.

უნდა ვიცოდეთ, რომ ჯერ იჭრება ნაპირები და შემდეგ საჭიროა შეკერილი ნაპირის დარგვალება.

უკანასკნელი სრულდება ჩაქუჩის მსუბუქი ცემით, ერთი გვერდიდან მეორე გვერდზე რიგ-რიგობით გადასვლით; ამისათვის მარცხენა ხელით გვიჭირავს წიგნი, მარჯვენით კი ვცემთ ჩაქუჩს.

უნდა დავარტყათ ჯერ ერთი მხრიდან, შემდეგ კი წიგნი უნდა გადმოვაბრუნოთ და დავარტყათ მეორე მხრიდან.

შეკერილი მხარე ამრიგად მრგვალდება, წინა მხარე კი შემრგვალებული გამოდის.

შემდეგ იჭრება ზეითა და ქვეითა მხარეები (თავი და ბოლო).

ახლა უნდა დავამზადოთ მუყაოს ყდები.

მუყაო იჭრება სახაზავის საშუალებით, დანით.

ყდა წიგნზე დიღი უნდა იყოს  $\frac{1}{2}$  დუიმით.

## სისინაოსაზიგნები

მუყაოს უნდა ჰქონდეს წიგნის შესაფერი სისქე.

ყდის მიწებება ხდება შემდეგნაირად:

იმ აღგილზე, სალაც მიკრული იყო გაძენძილი კანაფი, უნდა წაესვას წებო, მიეკრის მუყაოს იმნარჩალ, რომ ვერტიკალურად დაყენებული ყდა იყოს მიმდგარი წიგნთან; ამისათვის საჭიროა მუყაოს კანაფზე დაკვრა. ის ნახევარი სანტიმეტრით დაშორებული უნდა იყოს წიგნის ნაპირიდან.

რომ უკეთესად მიმაგრდეს, რამდენიმე ხან წიგნი წნევეში უნდა ჩაიღვის.

როდესაც წიგნს ამოვილებთ, ყდის ნაპირები უნდა შესწორდეს სახაზავით და დანით.




ჩითის ან ტყავის არშიის მიკვრა.

ყველა ამის შემდეგ საჭიროა ორივე ყდას მიეკრის ჩითის ან ტყავის არშია და კუთხედი; ეს არშია სიგძით უნდა იღებატებოდეს წიგნის სიგძეს 1 დუიმით, სიგანე უნდა იყოს 3 ან 4-ჯერ განიერი წიგნის სისქეზე.

არშიის გარდა კიდევ საჭიროა ზედნართი სქელი ქალალდის ან თხელი მუყაოს ფურცლის, წიგნის სისქეის და სიგძისა. ეს უკანასკნელი უნდა მიეკრის არშიის შუა ადგილის, შემდეგ წიგნის შეკერილი ადგილიდან ქვეითა ნაპირი დაიდება ზედნართზე იმ ანგარიშით, რომ ზედნართი არშიის წიგნზე გადმოფარების ღროს სავსებით დაეფაროს შეკერი-

ლი ადგილების მხარეს, არშიის ნაპირები კი მიეკრის ორივე მხრიდან მუყაოს; არშიის გვერდების ნაპირები შეიკეცება და მიეკრის ყდის შიგნითა მხარეებს (იხ. სურათი); რომ ყდის კუთხეები არ იხეხებოდეს, უნდა მიეკრის ტყავის ან სქელი ქაღალდის კუთხეები, კიდევ საჭიროა მუყაოს ზედა მხარეებზე ფერადი ქაღალდის მიკრა სილამაზისათვის, მხოლოდ კუთხეების და არშიების ადგილებში ქაღალდი უნდა მოიჭრას, რომ უკანასკნელი არ დამალოს.



ჩაქუჩით გამრგვალება.

ეს ფერადი ქაღალდი სიგრძე-სიგანით  $1/2$  დუიმით უნდა აღმატებოდეს წიგნის ყდის და ეს ზედებეტი შეიკეცება და მიეკრის ყდის შიგნითა მხარეს.

უკანასკნელი გვრჩება ფორზაცის მიკრა ყდაზე. ამისათვის ფორზაცის ვუსვამთ წებოს იმ მხარეზე, რომლიდანაც უნდა მიეკრის ყდას. წასმულ ქაღალდს ვაკრავთ ყდის შიგნითა მხარეს, შემდეგ ყდებს დავკეცავთ, ყდებს ხელით დავაუთოებთ, რომ ქაღალდზე დაჭმულ ული ადგილები შესწორდეს, შემდეგ ჩავდებთ წერტი და წიგნი უკვე მზად არის.

საჭიროა ითქვას, თუ რა პირობებში უნდა იმუშაონ ბავშებმა სახელოსნოში.

თვითეული პიონერს უნდა ჰქონდეს განსაკუთრებული ადგილი მაგიდასთან. დასაჯდომი ადგილები უნდა იყოს მოწყობილი მათი სიმაღლის მიხედვით. ოთახში ჰაერი მუდმივ უნდა სუფთავდებოდეს. ირალი წესირად უნდა ინახებოდეს.

სახელოსნოს შეიძლება გაუკეთდეს პლაკატი შემდეგი ლოზუნგებით: „ყდიანი წიგნი უფრო მაგარია და მოხერხებულია“, „ჩენ, მკინავები, წიგნებს ვარჩენ ავადმყოფობისაგან“.

ყოველი სამუშაო დღისათვის გამოიყოფა მორიგე, რომელიც უთვალყურებს წესრიგის დაცვას.

მთავარი საკითხია სახელოსნოს მეურნეობის მოწყობა. ამისათვის კარგი იქნებოდა ამორჩეული იქნება ან სამი ბავში, რომლებსაც მიენდობა სახელოსნოს მეურნეობა.

უკანასკნელი შეაღგენენ იარაღის სის და იზრუნებენ საჭირო მასალის შეძენაზე.


ბაგშებმა უნდა მიაქციონ ყურადღება, თუ როგორ ითვისებენ ცოდნას და როდესაც უკვე შეიძენენ ცოდნას, მაშინ უნდა შეუდგენ კოლექტიურ მუშაობას.

მაგალითად, გამოყოფილია რგოლი, 7 ბავში საგან შემდგარი, რომელსაც დაევალა 50 წიგნის აკინძევა.

ამ შემთხვევაში ხდება შრომის განაწილება: 2 არღვევს წიგნებს, 1 ხერხავს, 1 ამზადებს ფორზაცებს, სამიც ჰქონდება და ამრიგად მუშაობა ჩქარი ნაბიჯით მიმღინარეობს.

თვითეული პიონერი რიგზე შეისწავლის თავის მოვალეობას და მთავარი კი ის არის, რომ მუშაობა კოლექტიურად სწარმოებს.

ის უმზადებს ამხანაგს სამუშაოს, მას აგრეთვე სხვა ამხანაგმა გადასცა სამუშაო.



დანით ჩამოჭრა.

ბავშებს შეუძლიათ ერთი რომელიმე შეკვეთის შესრულების შემდეგ შესცვალონ მოვალეობა.

რგოლმა უნდა გაითვალისწინოს მუშაობის შედეგი და შეცოორები შესაწოროს.

საჭიროა დღიურის წარმოება, სადაც უნდა იწერებოდეს: რამდენი ბავში აკლდებოდა მუშაობას, რას ასრულებდენ, როგორ მიმღინარეობდა მუშაობა, იყო თუ არა დეზორგანიზაცია, რაში გამოიხატებოდა, როგორ უნდა იცილინონ ის თავიდან და სხვა.

კარგი იქნებოდა, რომ თვეში ერთხელ ან ორ თვეში ერთხელ იყოს შეჯამებული დღიურები, თუ რა მუშაობა შესრულებული.

საჭიროა აგრეთვე მოწყობა საკინძევის კუთხის, სადაც გამოფენილი იქნება, როგორც პირველად შესრულებული მუშაობის ნაყოფი, აგრეთვე უკანასკნელი მუშაობისა და სხვადასხვა პლაკატები.

# რადიო

რადიო აღარ წარმოადგენს უკვე მარტო მეცნიერულად მომზადებულ ადამიანთა სამფლობელოს, ას ხდება უკვე აღვილად მისაწვდომი ყოველი მოქალაქისათვის.

ფართედმაუწყებელი რადიო-გადაცემა კონცერტებისა, ლექციებისა და სხვა საინტერესო საგნებისა აძლევს რადიოს საშუალებას დაიპყროს თითქმის ყოველი სახლი. ალბათ სულ მაღა შინაური რადიომიმღები გახდება იმგვარ ჩვეულებრივ ნივთად, როგორიცაა გრამოფონი და ბევრისათვის აღმოჩნდება ის გრამოფონზე ბევრად უფრო გამრთობი და სასიამოვნო.

მომუშავე რადიო-სადგური ჰგავნის თავის ცნობებს ერთბაშად ყველა მიმართულებით, და ეს ცნობები მიღის დიდ ან პატარა მანძილზე, იმისდა მიხედვით, თუ რა სიმძლავრისაა „გადაცემი სადგური“.

დავუშვათ, რომ რადიო-სადგური იმყოფება ლონდონში და მას სურს გადაცემს ცნობა ნიუ-იორკში. თუ სიმძლავრე გადაცემი სადგურისა საგრძნობლად დიდია, ეს ცნობა მივა ნიუ-იორკში. მაგრამ ამავე დროს ის მიაღწევს არა მარტო ნიუ-იორკამდე, არამედ გავრცელდება დაახლოებით იმავე მანძილზე ყველა სხვა მიმართულებითაც, ასე რომ ცნობის მიღებას შესძლებს ყოველი სადგური, ლონდონიდან 2.000 მილის რადიუსის ფარგალში მყოფი. სადგურები მოსკოვში, პარიზში, ბერლინში, ისლოში და ლონდონიდან 2.000 მილზე დაშორებულ ადგილებში შესძლებენ ლონდონის რადიო-სადგურის ამ ცნობის მიღებას.

თქვენ მაშინვე მიგვითითებთ იმ საგრძნობ უხერხულობაზე, რომელიც ამის გამო წარმოიშობა: ცნობების საიდუმლოდ გადაცემა არ შეიძლება. რამოდენიმედ ეს მართოლია.

ამაში მდგომარეობს მთავარი თავისებურება უმავთულო ან რადიო-ცნობისა. ეს ერთი მხრით უპირატესობაა, მეორე მხრით კი უხერხულობაა. როცა ჩვენ ვგზავნით კერძო ცნობებს ნიუ-იორკში, თავისთვის ცხადია, ჩვენ არ გვინდა გაიგონონ გარეშე პირებმა. ამჯამად არ არსებობს არავითარი სახსარი, რომ შევუშალოთ ხელი ვისმე დაიჭიროს კერძო ცნობა, რადიოთი გაგზავნილი. ყველა, ვისაც აქვს ნებართვა დაიდგას თავის ბინაზე რადიო-მიმღები, ვალდებულია შეინახოს სიღუმლო და არ გაამჟღავნოს შემთხვევით მის მიერ დაჭერილი ცნობები. უმეტეს შემთხვევებში კი, როცა საჭიროა საიდუმლო ცნობების გაგზავნა, მაშინ ის შეიძლება გადაიცეს შიფრით, ან პირობითი კოდით, ასე რომ არაფერია, თუ ასეთ ცნობებს ვინმე კიდევაც დაიჭირს.


მეორე გარემოება, რომელიც გვეხმარება საიდუმლოების შენახვაში რადიო-გადაცემის დროს, მდგომარეობს იმაში, რომ ცნობები ხშირად იგზავნება დიდი სისწრაფით, ხან ორას სიტყვამდე წუთში; გემებთან ურთიერთობის დროს კი, სადაც მეელწერე ხელით მუშაობს, სიჩქარე უდრის დაბლოებით 20 სიტყვას წუთში და ამიტომ ყველა დახელოვნებულ მეელწერეს შეუძლია დაიჭიროს ის. დიდ მანძილზე გადაცემის დროს, მაგალითად, ატლანტის ოკეანეს გადაჭრით, ცნობები, როგორც ზემოთაა ნათქვამი, იგზავნება დიდი სისწრაფით, ავტომატიურ ხელსაწყოთა საშუალებით, და ისინი ჩვეულებრივ მეელწერეს შეუძლია დაიჭიროს მხოლოდ მეტად რთულ და ძვირფას მანქანათა საშუალებით.

ამრიგად რადიო-ცნობათა საიდუმლოება დაუულია გადაცემის ძლიერი სისწრაფით ან პირობითი შიფრის ხშარებით.

## ხე გმინებლოგაში და მრეწველოგაში.

საქართველო ძალიან მდიდარია ტყეებით. გარდა უბრალო ჯიშის ხეებისა, ჩვენს რესპუბლიკაში მოიპოვება ძალიან ძვირფასი ხის ჯიშები: წითელი ხე, ბზა და სხ.

ბზა უმაგრეს ხედ ითვლება მთელ ქვეყნიერებაზე და სიმაგრით თითქმის რკინას არც კი ჩამოუვარდება. ბზისაგან აფხაზური ხმლის ტარსა და ქარქაშაც აკეთებენ. პალმისაგან, კაკლისა და წითელი ბზისაგან აკეთებენ სუკეთესო, ძვირფას ავეჯეულობას, ჩარჩოებს და სხ.



გლუსის სახლი, ცოლინგერის სისტემის.

საქართველოს მაღალ მთებზე ხარობს „გემის ხეების“ ტყეები, უზარმაზარი ფიჭვის, მუხის, ჭანდრის და სხვა ჯიშების, რომლებისაგანაც აკეთებენ ოკეანეს გიგანტ-გვეგბის ანძებს და სხ. ნაწილებს.

მაგრამ ჯერჯერობით მთელი ეს სიმღიდეები საქართველოში თითქმის არ მუშავდება და არ არის გამოყენებული.

მხოლოდ ამ უკანასკნელ დროს შეუდგენ დაბურული ტყეებისაკენ გზების გაყვანის პროექტის შემუშავებას: უგზოდ არ შეიძლება გადასამუშავებელ ადგილის ხეების გატანა.

ხის დამუშავებას და შრეწველობას ჩვენში დიდი მომავალი და აყვავება მოელის. მხოლოდ ახლა იწყებს ჩვენი რესპუბლიკა ხის დასამუშავებელი ქარხნის ავებას.

თქვენ იცით, რომ ხეს შენობების ასაგებად ხმარობდენ, მაგრამ ამ უკანასკნელ 50 წლის განმავლობაში ხის ადგილი აღმშენებლობაში რკინამ და ქვამ დაიკავა და ხისაგან მხოლოდ სოფლელები იკეთებდენ თავიანთ ქოხმახებს, ქალაქებში კი ხეს მხოლოდ გამოფენებისათვის და პატარა საღარაჯოების შენობების ასაგებად იყენებდენ. დიდ შენობებს კი ქვისა და რკინა-ბეტონისაგან აკეთებდენ.

რკინა და ქვა ბევრად უფრო გამდეგა, ვიდრე ხე. ქვისა და რკინის შენობები ხანძრის მხრივ უზურველყოფილია და, ამას გარდა, არც ლპება.

ხე კი ბევრად უფრო მსუბუქია ქვაზე, ბევრად უფრო იდვილია მისი დამუშავება, სითბოს ცუდი გამტარია და ამიტომ ხის შენობებში უფრო თბილა ზამთარში და გრილა ზაფხულში.


თუმცა ამდენი უპირატესობა აქვს ხეს ქვისა და რკინის წინაშე, მაგრამ ადამიანმა მაინც ქვა და რკინა ამჯობინა.

ამჟამად ხეს დიდი გასივალი აქვს მშენებლობის საქმეში ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებშიც.

ბეტონიანი ხისაგან აგებენ შენობებს გამოფენებისათვის, დირიჟაბლების, ჰაეროპლანების და ავტომობილების ბინებს და დიდრონსა და პატარა სოფლის სახლებს.

ჩვენ სურათებზე დაინახავთ რადიო-გამოფენის შენობას, რადიო-სასახლეს ბერლინში.

ეს ერთი უდიდესი მუზეუმია რადიო-მრეწველობის. შეორე სურათზე გამოსახულია მთელ ქვეყნიერებაზე უდიდესი შენობა გამოფენისათვის, რომელიც აგებულია ველზენკირხენში (გერმანია).



სამრეწველო გამოფენა ბერლინში.


ხით სარგებლობენ აგრეთვე ძალიან ფართვე ქარხნებისა და რკინის გზის სადგურების ასაშენებლად. რკინის ნაწილები სადგურებზე ძალიან სწრაფად ფუჭდება ორთქლმავლების კვამლისაგან და მატარებლების მოძრაობით გამოწვეული რყევისაგან. ხეს კი ვერც კვამლი და ჩერც მოძრაობა ვერაფერს აკლებს.

პირველი სადგური ხისაგან ააშენეს დანიის დედაქალაქში, კოპენჰაგენში, შემდეგ მრავალი სადგური იქნა აშენებული გერმანიაში, შვეიცარიაში, ფინლანდიაში და სხ. ქვეყნებში.

ქიმიური წარმოებისათვის შენობა უფრო ხელსაყრელია აგებულ იქნას ხისაგან, რაღანაც რკინის ქიმიური სიმუშევრე და სიმუშევრის აორთქლება სჭამს, ხეს კი ვერა.

რკინას და ქვას რჩება მხოლოდ ერთი უპირატესობა: ის, რომ რკინა და ქვა დიდხანს სძლებს.

ეგვიპტის პირამიდებმა იმდენ ხანს გასძლეს და უძრავად სდგანან, ხის შენობებს კი, ძალისან გამძლე, ბეტონგადაკრული ხისაგან აშენებულსაც, არ შეუძლია ას წელიწადზე მეტს გასტანოს.




რადიო-მუზეუმი დრეზდენში.

მაგრამ ტეხნიკა შეუჩერებლივ ვითარდება და შენობებსაც სახე ეცვლება. 200 წლის წინეთ აშენებულ სახლში ახლა არა გვგონია, რომ ვინმე დადგეს, იმდენად უხერხეული იქნება საცხოვრებლად. ძველ

იქნას ძველი, 50 წლის წინეთ აშენებული სახლები და იმათ მაგიერ აშენდეს თანამედროვე ტიპის შენობები. ასე რომ დიდი ხნის შენობები ხელს უშლიან უფრო მოხერხებული და გაუმჯობესებული შენობების აგების საქმეს.

ძველ შენობებს სრულიად არ შეუძლია დააკმიყოფილოს თანამედროვე ქარხნებისა და სადგურების მოთხოვნილება. სადგურზე, სადაც უწინ 100 მატარებელი მოდიოდა დღეში, ახლა ათასიბით მოდის, აქმდის სადგურის და ქარხნის შენობის შეცვლა ახალი შენობით საჭირო ხდებოდა ყოველ 50 წლის განმავლობაში. ამას იქით უთუოდ საჭირო იქნება უფრო ხშირად განახლება, მაშასადამე, ბევრად უფრო ხელსაყრელია აშენდეს უფრო იაფი და მსუბუქი მასალისაგან — ხისაგან.

ჩვენ დაგვიჩი ისეთი შენობები, რომლებმაც საჭიროა იარსებოს საუკუნეების განმავლობაში: დიდებულ ხელოვანთა და ხუროთმოძღვრების — შემოქმედებანი. მაგრამ ასეთი შენობები არც ისე ბევრია და მასთან მეცნიერება ისეთი სისწრაფით მიდის წინ, რომ დღეს ჩვენ უკვე ვისწავლეთ, როგორ დავიცვათ ხე ცეცხლისაგან და გადაფარჩინოთ დალპობას; ხეს გაველენთავთ რამე ისეთი წამლით და



ნაკეთებ შენობებში ნაკლები სინათლე და ჰაერი იქნება.

ბევრგან — ევროპისა და ამერიკის დიდ ქალაქებში — ამჟამად წამოჭრილია საკითხი, რომ დარღვეულ

ისე გავამაგრებთ, როგორც ქვას და მაშასადამე, მას დროც ველარაფერს დააკლებს.

ხის შენობების საქმის წარმოშობამ წმოაყენა ხის შენობების ახალი წესით აგების საჭიროება და

გამომუშავებული იქნა ბევრი სხვადასხვა ხუროთმოძღვრული სისტემა. განსაკუთრებით საყურადღებოა ინჟინერ კოლინგრის სისტემა.

ამ სისტემით აშენებული სახლების სახურავებს  
არავითარი შესამაგრებელი ბოძები არა აქვს და ეყრ-  
ლნობა მხოლოდ კედლებს. კოლინგრის სისტემით  
სახლების აშენება ძალიან იაფად ჯდება და სჭრაფედ  
კეთდება. ასე რომ ხე დიდ მეტოქეობის უწევს რკი-  
ნასა და ქვას ამშენებლობის საქმეში, იმარჯვებს კი-  
დევაც.

წარმოების საქმეში ხე კარგახანია თამაშობს  
არა ნაკლებ როლს, ვიდრე რკინა.

ჩვენს აქსპუტლიკაში ამ ახლო მომავალში ქალალდის ქარხნის გახსნას აპირებენ. ქალალდი უნდა გაკეთდეს გადამუშავებული ხისაგან.

ქალალდი ხისაგან

როგორ უნდა გაკეთდეს? ამის შესახებ ჩვენ უმდევ გვექნება საუბარი.

ქაღალდის გარდა ხისაგან მრავალი სხვა ნა-  
წარმოები კეთდება. ამ ჩვენ შერიცლში ოქვენ  
ნახავთ სქემას, სადაც ნაჩვენებია ხის სხვადასხვა ნა-  
წარმოები.

ამ სქემის გასაგებად საჭიროა გვახსოვდეს, რომ  
ხისაგან ჯერ კეთდება ნახევრად დამუშავებული ნა-  
წარმოები, ნახევარუბაძრიკატი, მერე ამ ნახევრად  
დამუშავებული ნაწარმოებისაგან კეთდება სხვადასხვა  
ნაწარმოები: მაგალითად, ხისაგან კეთდება კუპრი,  
ფისი; კუპრისა და ფისისაგან — სკიპიდარი, კინიტოლი,

კრეოზოტი; ხისაგან კეთდება გლიუკოზა, გლიუკოზასაგან — უპალლესი ლირსების ქაღალდი (მდაბალი ხარისხის ქაღალდი პირდაპირ ხისაგან კეთდება), ეტილენი, მჟავუს სიმჟავე და სხ. შეიძლება კიდევ ასე: ხისაგან კეთდება ნახევარფაბრიკატი, ნახევარფაბრიკატისაგან — პროცესუატი, ამ პროცესუატისაგან კი სხვა პროცესუატი. მაგალითად, ხისაგან გლიუკოზა, გლიუკოზისაგან — ამილონა (პერგამენტის ქაღალდი), ამილონისაგან — ხელოვნური ტყავი; კიდევ უკეთესი მაგალითის აღება შეიძლება: ხისაგან კეთდება გარსი, გარსისაგან — ნიტროგიარსი, ნიტროგიარსისაგან — კოლოდი (ხმარობენ ჭრილობებისათვის) და ასაფერებელი ნივთიერებანი — ნიტროგლიცერინი და უკვამლო თოფის წამალი, მაგრამ ეს კიდევ ცოტაა: ნიტროგიარსისაგან მუშავდება აგრეთვე ხელოვნური აბრეშუმი და ცელულოიდი, ცელულოიდისაგან კი — კინო-ლენტები.

თქვენ ხედავთ, თუ რამდენი რა კეთლება ხისა-  
გან და ოოგორ შეიძლება განვითარდეს ხის დასა-  
მუშავებელი მრეწველობა ტყეებით მდიდარ ჩვენს  
რესპუბლიკაში. დაფეხბა დრო და ჩვენი სოფლების  
ხის სახლებს შესცვლის ბეტონგადაკრული ხის სახ-  
ლები, რომელსაც ვერაფერს დაკლებს ვერც ზღვის  
ნაპირების წვიმები და სინესტე, ვერც ხანძარი.  
ჩვენ ქარხნებში დამუშავდება ქალაოდი, ნიტროგლი-  
ცერინი, ხელოვნური ტყავი, საღებავები და სხვ  
მრავალი საჭირო ნივთიერება.

M 93.



სანიტარიუმის სიმარტი.

ჩვენ ვართ მამაცი, შეურყეველი,  
პატია ნორჩი ლენინელები,  
მშრომელთა მასის დაჩვრულ ხელში  
ტანჯვა-ვაებით გამოზრდილები!  
ჩვენ უკან მივდევთ წითელ არმიას,  
საძჭოთა ქვეყნის პატა მცველები,  
ნარნარი ხმებით გრგვინავს სიმღერა,  
ჩვენ ხმას ბანს აძლევს მთა და ველები.  
ვერ შეგვაშინებს მტრისა მუქარა,  
ჩვენი რიგები უშიშრად გრგვინავს,

თავისუფლების, ერთობის ხმებით  
დროში ჰაერში წითლადა ფრინავს.  
მაღლა მივაყრენთ სიმართლის ალამს,  
ზედ გვიჭიდია მაგრად ხელები,  
ბელად ლენინის გზით წინ მივდივართ,  
წითელი დროშით დარაზმულები.  
ჩვენ მამაც ძალებს გაკაუებულებს  
ვერ შეაშინებს მტარვალთა ხმები,  
უშიშრად, მედგრად და თავისუფლად  
წინ, წინ მივიწევთ ლენინელები!

# ჩ ვ ე ნ მ ო ვ დ ი ვ ა რ თ!

მოვდივართ ჩვენ, ურიცხვნი, ნორჩი, მედგარ  
ტალღებად,

სახე მოგვაქეს ლენინის, ნათელალამიანი;  
ნორჩი კომუნისტები არეს ვაქცევთ ბალებად,  
და მშრომელთ დაუდგება დღე ნათელი, მზიანი!

ძველი დავასამარეთ დრო ტანჯვის და ბორკილის,  
მივქრით კომუნისაკენ ჩვენ მამებთან ძალილით!

ჯერ ხომ ჩვენ ბავშები ვართ, ვუკრავთ ძლევის  
საყვირებს,

მალე შევცვლით რიგებს და ბნელეთს ავაყირავებთ.

ნ. ცხაკაია

## პ ა რ ღ ს ტ ი ხ ი 0 .

პატარა ნორჩი ყვავილი  
იზრდება, გაიფურჩენება,  
ომში დალლილსა ბელადებს  
ნაცვლად მხარს იმოუდგება.  
ერთის დაკვრითა შემუსრავს  
რიგებს შტარვალთა ბრძოების,  
ის შეაგროვებს დიდ ჯარებს  
საწყლებისა და მონების.

მთელ მსოფლიოზე ასტეხავს  
ომსა გმირულსა, ცეცხლებრსა,  
მტარვალებს დღეს გაუთენებს  
ავსა და შავბნელიანსა.

ვინ არის იგი, იცნობთ თქვენ?!?

ალისფერ დროშით მავალი,

ლამაზი პიონერია,

იმღერის გახარებული.

გიგო შატბერაშვილი.

## პ ი ღ ნ ე რ ი ს ს ი ღ ლ ე რ ა .

მედგარ გულებით მოვდივართ შრომის ბავშები;  
არ გვჩვევია დალლა გმირებს, ვუკრავთ საყვირებს!  
მოვდივართ მკვირცხლნი, ნორჩი ცხოვრების ნორჩი  
რაშები!

ჩვენი მკლავები ძველი ქვეყნის სწყვეტავს აღვირებს!

ვერ შეგვაშინებს რისხვა მტარვალთ, რისხვა  
მგზნებარე,

გზა ეკლიანი, ნარიანი, უკაფი, ძნელი...

ჩვენ, პიონერნი, დუხტირ ყოფის ავაყირავებთ,  
და შენსა გზისა არ გადვუჩვევთ, დიადო ლენინ!

ნიკოლოზ ცხაკაია.

## ჩ ვ ე ნ ი ს ი ტ ყ ვ ა .

ჯერ ნორჩი ვარ, ახალგაზრდა პიონერი.  
მიყვარს შრომა და ჩაგრული ყველა ერი.  
მისთვის ვსწავლობ, გავხდე მძლავრი, ლონიერი,  
მტერი ვძლიო, შევიქნე მე ბედნიერი.  
თუმც აღარა გვყავს დიდი ბელადი, ლენინი ძია,  
სამაგიეროდ პიონერთათვის ლოზუნგად დარჩა მხრა-  
ლოდ ერთია,

რომ: „სავალი გზა პიონერთათვის ლენინიზმია“.

რომ ავასრულოთ, პიონერებო, ეს სიტყვები, ჩვენი  
ვალია.

ჯერ ნორჩი ვარ, ახალგაზრდა პიონერი,  
მიყვარს შრომა და ჩაგრული ყველა ერი.  
მისთვის ვსწავლობ, გავხდე მძლავრი, ლონიერი,  
მტერი ვძლიო, შევიქნე მე ბედნიერი.

ალექსანდრე ტატიშვილი.

## მ ო მ ა ვ ლ ი ს უ ვ ი ლ ე ბ ი 0 .

მოვდივართ ნორჩი პიონერები  
და მივისწრაფით სინათლის გზაზე,  
ყველა მსმენელი სტკებად, დუმცება  
ჩვენი დოლის და საყვირის ხმაზე.

მუდამ ტკბილია, ტკბილად გაჰკივის  
ჩვენი საყვირი და ბარაბანი,

მტერსა ემუქრის გაბრაზებული,  
ცეცხლის მნათობი და ჯავრიანი.

ჩვენი რიგები მოწყობილები  
მძლავრია ისე, ვით ცხელ რეინისა,  
მარდია, როგორც ნალესი ხმალი,  
გასაულეტავი ჩვენი მტერისა.

ვანო ჭირიანაშვილი.



### 1. მ უ შ ა ბ ი.

თვითეული მოთამაშე რომელიმე პროფესიის მუშას წარმოადგნს: ერთი—მჭედელს, მეორე—ზეინკალს, მესამე—მაღაროს მუშას და სხვ...

თვითეული მათგანი მიდის „შრომის ბირჟაზე“ და იქ უჩენებს მოძრაობების საშუალებით თავის პროფესიას. თუ მიხვდენ მის პროფესიას, მას მიიღებენ მუშაობაზე, და თუ არა, იგი უადგილოდ რჩება, გამოიცვლის პროფესიას და რამოდენიმე ხნის შემდეგ ისევ ბრუნდება. თამაში გრძელდება, ვიდრე ყველა არ იშოვნის სამუშაოს. თუ ბოლოს ვინმე დარჩა უადგილოდ, მას დაედევნებიან დანარჩენები ცალ ფეხზე ხტომით, ვიდრე არ დაიჭირენ.

### 2. მ ჯ რ ი ვ ი ს გ ა რ ლ ვ ე ვ ა.

მოთამაშენი ორ ჯგუფად იყოფიან და ერთმანეთის პირდაპირ მწკრივებად სდებიან (20 ნაბიჯის მანძილზე ერთმანეთისაგან). მწკრივში მდგომი ერთმანეთს ხელებს ჩაჰკიდებენ. თვითეული მწკრივი რიგ-რიგად იწვევს მოწინააღმდეგეთა მწკრივიდან რომელიმე მოთამაშეს, რომელიც გამოქცევით უნდა შეეცადოს პირდაპირ მდგომი მწკრივის გარღვევას. თუ გამოქცეულმა მოთამაშემ შესძლო მოწინააღმდეგეთა მწკრივის გარღვევა, მას უფლება აქვს წილივანის თავის მწკრივში გარღვეული მწკრივიდან ერთ-ერთი მოთამაშე, ხოლო თუ მან ეს ვერ შესძლო, მაშინ თვითონ უნდა ჩადგეს მოწინააღმდეგეთა მწკრივში.

მწკრივის გარღვევის დროს აკრძალულია უხევში დაჯახება და ხელებით მწკრივის გარღვევა.

### 3. მ თ ი ბ ა ვ ი.

პიონერები წრეს აკეთებენ. წრეში ერთი პიონერი ჩადგება, რომელიც ხელში თოკს დაიკავებს, ბოლოში ჩალიჩა აქვს მობმული. იგი მთიბავია. პიონერი ტრიალობს და ამოძრავებს გაქიმულ თოკს ისე, რომ იგი წრეში მდგომ მოვარჯიშებს ფეხებში ედება. პიონერები ხტომით ცდილობენ თოკი ფეხებში არ გამოედგანთ, ვისაც თოკი ფეხებში

\* ტურნის \*

გამოედება, იგი უკვე „მოთიბულია“ და წრიდან გადის, რის შემდეგ თამაში გრძელდება, ვიზრე მოელი ყანა არ იქნება მოთიბული.

### 4. გ ა ი ქ ე ც დ ა თ ა ვ ს უ შ ვ ე ლ ე.

მოთამაშენი წრეს დევთებენ. ერთი ბავში წრეში სდგის და მის ფეხებთან ბურთი ავდია. უცბად იგი დაიძახებს: „გაიქეც და თავს უშველე“. მოთამაშენი იმ წამსვე გაიქცევიან, ხოლო წრეში მდგომი მიწისაკენ დაიხრება, ილებს ბურთს და დაიძახებს: „შესდევ“. ყოველი მოთამაშე ვალდებულია იმ წამსვე შეჩერდეს იმ ადგილზე, სადაც განკარგულებამ მოუსწრო.

წრეში მდგომი ესვრის ბურთს რომელიმე მოთამაშეს. მოთამაშენი ადგილიდან ვერ დაიძერიან, ხოლო აქვთ დაკუზვის, ადგილზე შებრუნების ან შეხტომის უფლება.

### 5. უ შ ვ ე ლ ა მ ვ ე წ ნ ი ს პ ი ო ნ ე რ ე ბ ი.

პიონერები აარჩევენ ოთხ მოთამაშეს. ისინი მუშათა კლასის ჯალათებს წარმოადგენენ. ჯალათები მოხაზულ მოედანზე დასდევენ დასაჭრად დანარჩენებს, რომლებიც ყველა ქვეყნების პიონერებს წარმოადგენენ (მაგ. ერთი—გერმანიის, მეორე—ინგლისის, მესამე—საფრანგეთის, მეოთხე—ჩეხეთის პიონერს და სხვ.). როდესაც ჯალათები ყველა პიონერებს დაიჭირენ, მათ ერთ საპყრობილები და ამწყვდევენ. სხვადასხვა ქვეყნის პიონერები სარგებლობენ შემთხვევით და ერთმანეთს გააცნობენ თავიანთი ქვეყნის პიონერთა ორგანიზაციის მდგომარეობას. (ამისათვის საჭიროა პიონერები წინასწარ გაეცნონ ბურჟუაზიული ქვეყნების პიონერთა მოძრაობას). როდესაც მათი საუბარი დასრულდება, სწორედ ამ დროს გამოჩნდებიან ს. ს. რ. კავშირის პიონერები, რომლებიც დაესხმიან ჯალათების საპყრობილებს. „გაუმარჯოს ყველა ქვეყნის პიონერებს“, — გაიძინა პიონერები. ბურჟუაზიული ქვეყნების განთავისუფლებული პიონერები ერთმანეთის მისალმების შემდეგ პიონერთა სიმღერით შემოვლიან რამდენიმეჯერ მოედანს.

## Մ Ա Ր Ա Ծ Յ.

Յուներնո, გաზաფեյլուս  
յիշո պազուղո մոցնաեռոտ,  
დաշუկարգեց հոգոնաճ  
დա մու լունծա գանցութրաեռոտ.

Ծոլու ոտեր ան ար ցըսլուս  
դա դաշրիցի ան սամո  
(պազու ամու ցայտցին  
ար սկորգեց յիշո բամու)...

ցազուենոտ ուզ լամաչո,  
ու ներար քրու վելուս,  
պազուղուոտ ահու նանո  
դա մու մունցուս պազու յըլուս.

ցագուշլուս վարժոտ վիզի  
միշուղ ջյուրոտ մուլու-վյուղաւ,  
դա մալիս կալի վյուղի սու  
դաշնացի սանաթրյուղաւ!

մու նորվելու ան որո  
սախուրա հայենտցուս ուց,  
վու ցագամինար ծալանեստցուս  
վյուղի վիզարո մուկուսուց!

ռուս պազուս վեցայրուցիտ,  
տակալուաւ վեցկրաց կոնաւ,  
մուլամ վայուտ դա վագուցոտ  
նարմաւ եալենուս ցասացոնաւ.

5. Կեշացանա.

**№ 1.** մոցոյիշրեցնուլուս 7 սությա, ռոմելու յրտնանորո ասուցի ալնուշնուլուս յրտնանորո ըստուցիունութ. մնուշնուլուս մատու մեմդեցիս:

- |       |     |     |     |     |     |   |
|-------|-----|-----|-----|-----|-----|---|
| 1.    | 2.  | 3.  | 4.  | 5.  | 6.  | — ագարակո, ռոմելու կյուրնազս մալարուոտ դասացեցնուլու. |
| 7.    | 8.  | 6.  | 9.  | 6.  | 1.  | 6— յալայի սախարուցլուն.                               |
| 3.    | 8.  | 10. | 3.  | 11. | 12. | 13— ավտոնոմուրու ռույի սախարուցլուն.                  |
| 9.    | 12. | 14. | 6.  | 14. | 6.  | — հյառուլուցուս ցմունու.                              |
| 6.    | 3.  | 14. | 15. | 3.  | 16. | 6— վելութիւնուս ուզ.                                  |
| 14.   | 3.  | 17. | 18. | 3.  | 9.  | — սամութառ օարալու.                                   |
| 6— 3— |     |     |     |     |     | ցագաֆեյլուս պազուղու.                                 |

ալնուշնուլուս սությացնուս նորվելուս ասուցի մուգուստ յրտու հյառուլուցուոներու. ռոմելուս յև սությացնու?

**№ 2**

Ը	Ֆ	Ս	Ր	Ռ	Շ	Ձ
ա	ա	ա	ա	ա	ա	ա
օ	օ	օ	օ	օ	օ	օ
թ	թ	թ	թ	թ	թ	թ
լ	լ	լ	լ	լ	լ	լ
լ	լ	լ	լ	լ	լ	լ
լ	լ	լ	լ	լ	լ	լ

մուցեմնու շչարեցնու ցագասցուոտ ասուցի ուց, ռոմ ուուուց կորունքոնքալուր հոգնու մուլուտ ցարեցի սախարուցլուս հյառուլուցուոներուս.

**№ 3.**

Ֆ		Ռ		Ձ	
կ	թ	յ	ր	պ	չ
ա	ա	թ	ր	պ	չ
օ	օ	օ	օ	օ	օ
լ	լ	լ	լ	լ	լ
լ	լ	լ	լ	լ	լ
լ	լ	լ	լ	լ	լ

մուցեմնու շչարեցնու ցագասցուոտ ասուցի ուց, ռոմ մուլուտ սահրտամուսուս լունցնու.

გამოვა

1927 წ.

გამოვა

ორვერებული საქართველო დასურათებული

— უ რ ნ ა ლ ი —

მოზრდილთათვის

# პირნერი

ფ ე ლ ი ფ ა ღ ი ॥

შურალი ს. ს. ს. რ. შველა სეოლებისათვის სავალდებულოა.

ლენინის სახელობის საქართველოს ბავშვთა კომუნისტური ჯგუფების უოველი წევრის, ორგანიზაციის უოველი კოლექტივის, ბავშვთა კომუნისტური მომრაობის თვითეული ხელმძღვანელის, ბიბლიოთეკების და სამკითხველოების ვალდებულებაა გამოიწერონ

— პ ი რ ნ ე რ ი —

მიღება ხელის მოწერა 1927 წლისათვის.

ქურნალი ღირს გადაგზავნით:

წელიწადში	— 5 მან.
ექვს თვეს	— 3 მან.
სამ თვეს	— 1 მან. 50 კაპ.

ცალკე ნომერი—25 კაპ.

მისამართი: ტფრისი, რესთაველის გამზირი № 31, განათლების სახალხო კომისარიატი. „პირნერი“-ს და „ნაპარული“-ს რედაქცია.

რედაქტორი—სარედაქტო კოლეგია.